ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

1993



...მამაკაცება, სამშობლოს სიყვარული რომ დამავიწყდება...
ჩემს მოხალისედ წასულ შვილს გვ. 2

თუ ქალდობას განიცდის, ქალს შეიძლება გაუჩნდეს მტრობა საკუთარი მეუღლისადმი
„სექსუალიზმის განვითარების საფეხურები" გვ. 9

ჩემი ქმარი თვლის, რომ ბავშვის მოვლა ქალის საქმეა...
„ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია" გვ. 4.

მაია ფეიქრიშვილი იტალიიდან დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ დიონისე კარბონის ცოლი გახდებოდა და სარდინიის კუნძულზე იცხოვრებდა.
„ქართველი იტალიელი", გვ. 14-15.

ბავშვის ცემა ყოვლად დაუშვებელია, თქვენი აგრესია ბავშვის აგრესიულო-ბას იწვევს
ეს „ჯუტანელი" საყვარელი ბავშვები... გვ. 5.

თუ საქმეზე მიდიხართ, კეთილშობილად გაქცევით, თუ [illegible] საყვარელ ქალს [illegible]
„რჩევა მამაკაცებს" გვ. 12—13.

5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

●

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

მარიკა ბარათაშვილი

ნაზი თარგამაძე

ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ნაზი კილასონია

გუჩა კვარაცხელია

ნანული ცაგარეიშვილი

ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი)

ირმა ჩოფიკაშვილი

ნინო ჯავახიშვილი

ნოდარ ჯაველიძე

ეთერ ჯაფარიძე

---

ტექრედაქტორი ნანული ბუქია

---

გარეკანის პირველ გვერდზე — დავით იაკობაშვილის ფოტოეტიუდი;
მეოთხეზე — მხატვარი — ფილიპო ლიპი

---

დამფუძნებელი ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".

---

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

---

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო".
თ. კოსტავას ქ. №14.

---

„Sakartvelos Kali"
Georgian Woman
a Magasine for Woman of the
Republic of Georgia

# ანონსი

## ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში წაიკითხეთ:

- სიკეთეს არ იცის საზღვრები ანუ წლის ყველაზე კეთილი უცხოელი.
- სილამაზის გაკვეთილები, ღიმილსაც ნუ დაივიწყებთ.
- ინტერიერი: სიმყუდროვე გემოვნებით მიიღწევა.
- ...მალე შეხვდები საბედოს, როგორ ავიცილოთ თავიდან დათარსვა.
- ჰოლივუდის კულუარებში: ჯეკ ნიკოლსონის საიდუმლო.
- ჰუმანური პედაგოგიკა: აჩუქეთ ბავშვს თქვენი თავი.
- საყმაწვილო გვერდი.
- მათთვის, ვინც დიეტას იცავს.
- მამა, მზე და ზღვა. ნოდარ დუმბაძის ქალიშვილის მოგონება მამაზე.
- ახლო წარსულიდან: ელისაბედ ჩერქეზიშვილის წყევლა, მინისტრმა ბოდიში მოიხადა
- მსოფლიოს შვიდი სასწაული ანუ ცხოვრება ყველას თვალწინ (მსოფლიოს ყველაზე ფოტოგენური ქალები)
- ძალიან სასარგებლო რჩევები
- ტესტი
- კულინარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როცა ქალის თმას ომის სუნი ასდის

დილაადრიან აფხაზეთში გასამგზავრებლად აეროპორტში გასულს რვა თუ ათი სოხუმელი ქალი შემხვდა. მათ თვითმფრინავის მოლოდინში უკვე მეორე ღამე გაეთიათ. დაღლილები და მოწყენილები აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ისხდნენ. წასვლის იმედს მაინც არ კარგავდნენ. შექმნილი მდგომარეობის გამო თვითმფრინავები მირითადად წითელი ჯვრის დავალებებს ასრულებენ ან თავდაცვის სამინისტროს ეგიდით ფრენენ.

ისინი დაბომბილი, უშუქო და უწყლო სოხუმიდან იყვნენ ლტოლვილნი. მშობლიურ სახლსა და ქალაქს მოწყვეტილებს თბილისშიც არ უდგებოდათ გული. წავალთ, ისევ ჩვენს მშობლიურ ქალაქში დავბრუნდებით, იქ მებრძოლ ქმრებსა და ძმებს მაინც დავეხმარებით. თუ იარაღით ვერ ვიბრძოლებთ, ომში ქალებს ისეც ბევრი საქმე გვაქვსო...

სოხუმს ახლა მისი მკვიდრი მოსახლეობისაგან შემდგარი სამხედრო ფორმირებებიც იცავენ. ისინი მდინარე გუმისთის სანაპიროებთან მორიგეობენ. ბრძოლის ხაზიდან მობრუნებულ მეომრებს დაპურება, დარეცხვა და დასვენება სჭირდებათ.

გაფრენის წინ ერთი ახალგაზრდა ქალბატონი მომიახლოვდა და მთრთოლვარე ხმით გამესაუბრა. მეც სოხუმში მინდოდა წამოსვლა, მაგრამ ასე მითხრეს, ამ რეისს ტყვია-წამალი მიაქვს და მებრძოლები გადაჰყავსო. ჩემი შვილი იქ საომრად წავიდა. მას ჯერ თოფიც არ სჭერია ხელთ. ერთ-ერთ სამხედრო დანაყოფში ჩვენი უბნის ბიჭები იბრძვიან. ისინი ჩემსაზე გაცილებით უფროსები არიან. მათი წასვლის შემდეგ ჩემმა შვილმა საქმეზე გული აიცრუა. ერთ დილით რომ გავიღვიძე, სახლში ვერ აღმოვაჩინე. მაგიდაზე წერილი დაეტოვებინა: „დედა, მე საომრად წავედი, არ შეგეშინდეს“. მათი ნაწილი ამ მისამართზე დგას (ქალმა პატარა დაკეცილი ფურცელი გადმომცა), მთხოვა, ეგებ ჩემი ბიჭი ნახოთ და ბარათი გადაეცითო. მეც უყოყმანოდ მივიღე თხოვნა.

აფხაზეთში ხშირად შევხვედრივარ მცირეწლოვან მოხალისეებს, რომლებსაც მებრძოლები „გავროშებს“ ეძახიან. მათი სამშობლოს სიყვარულით ანთებული გულის ამბავი კარგად ვიცი.. ისინი ბრძოლის ველს არ ტოვებენ.

გაგრაში ჩემი მოხვედრა ვერაფრით მოხერხდა. გაგონილს ნანახი სჯობიაო, ნათქვამია, მაგრამ, როდესაც ნახვის საშუალება არ გვეძლევა, ისევ მოსმენილს უნდა ვერწმუნოთ, გაგრის ტრაგიკული ამბების თვითმხილველნი განსაკუთრებული გულისწყრომით იხსენიებენ მოწინააღმდეგეთა მხარეს მოქმედ „თეთრ კოლგოტკიანთა“ ოცეულს. ეს არის ქალებით დაკომპლექტებული სპეცდანაყოფი, მათი თეთრი ფერის ჩასაცმელი საბრძოლო უნიფორმისაგან ძალიან განსხვავდება. გამორიცხული არ არის, თვით ამ ოცეულის დანიშნულებაც განსხვავებულია საბრძოლო საქმეებისაგან.

სოხუმის შტაბთან ორ ახალგაზრდა მებრძოლ ქალს შევხვდი. მათ ახალი სამხედრო ფორმა მიეღოთ და ნაწილში ბრუნდებოდნენ. სასაუბროდ საკმაოდ სიტყვაძუნწები გამოდგნენ. თანამებრძოლმა მამაკაცებმა ქალებს ბრძოლისუნარიანობა შეუქეს. ისეთი მსროლელები არიან, მიზანს არ აცდენენო. ერთ-ერთ მათგანს ორი მცირეწლოვანი შვილი სახლში დაუტოვებია. მეორეს — მესამე კლასის მოსწავლე. ვინ იცის, როგორ ენატრებათ პატარებს ომში წასული დედიკოები.

ერთ-ერთ მათგანს ქმარმა ჩამოაკითხა. თუ სახლში არ წამოხვალ, მეც აქ დავრჩებიო.

სოხუმში შევხვდი ახალგაზრდა მებრძოლს მზია ლომიძეს, იგი ამ ქალაქის მკვიდრია. ბოლო დროს ლენინგრადში ცხოვრობდა. აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის გამო უკან დაბრუნდა და თანამოძმეებთან ერთად მშობლიურ ქალაქს იცავს. მზია ექთანია და მებრძოლებს სამედიცინო დახმარებას უწევს. ცეცხლის ხაზიდან მრავალი დაჭრილი გამოიყვანა. პირველი სამედიცინო დახმარება ერთი აფხაზისთვისაც აღმოუჩენია, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ყოფილა და შემდეგ საავადმყოფოში გარდაცვლილა.

—როდესაც ბიჭები გრძნობენ, რომ მათ გვერდით ქალია, უფრო ვაჟკაცურად ომობენ, — ამბობს მზია. მებრძოლებს დახმარება სჭირდებათ და მეც ყოველნაირად ხელს ვუწყობ. ორი მცირეწლოვანი შვილი მშობლებს დავუტოვე. დედას წერილით ვამშვიდებ, შტაბში ვმუშაობ, ბრძოლებში არ ვმონაწილეობ — არადა, ზოგჯერ საბედისწერო ტყვიის წვიმაში ვყოფილვარ, თმა და ტანსაცმელი დენთის მძაფრ სუნს დიდხანს ინარჩუნებს. მეუბნებიან, დენთის სუნი გაქვსო. მე კი ვპასუხობ — დენთის კი არა, ომის სუნია-თქო.

ტანსაცმელი და თმა „ომის სუნს“ დროთა განმავლობაში კარგავს, მაგრამ იგი გაცილებით უფრო დიდხანს რჩება ადამიანთა სულებში.

**მოზიმა ჭელიძე**

1

საპარლამენტო ბიბლიოთეკა
ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკა
БИБЛИОТЕКА

# საქართველოს



## ჩემს მოხალისედ წასულ შვილს

ჩემო ერთადერთო შვილო პაატა, რა დაგიშავე, რომ დაუკითხავად გამეპარე ომში? ნუთუ დამივაჟკაცდი! შესძლებ კი ამ მძიმე მოვალეობის შესრულებას? მეშინია, რადგანაც პატარაობისას ძალიან სუსტი იყავი. ოთხ წლამდე სიცხეები გქონდა და ექიმებმა ვერ გიშველეს, მერე ისევ მთის ჰაერმა გამოგაკეთა, მაგრამ მაინც სათუთი დარჩი, ადვილად ცივდები.

მეცხრე კლასიდან ვაჟკაცურ საქმეში ჩაები, ეროვნული მოძრაობის გზა აირჩიე. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ამბები რომ დაიწყო, ძალიან ალგზნებული და ნერვიული გახდი. ლექსებს წერდი სამშობლოზე და მის დამცველებზე.

მე რომ სიმსივნე აღმომაჩნდა, მხოლოდ მაშინ გხედავდი სახლში. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, კეთილთვისებიანი გამოდგა. შენც ნელ-ნელა შემომაპარე: სამშობლოს დასაცავად უნდა წავიდეო. შენი სიტყვები თან მეამაყებოდა, თან მაშინებდა. მაგრამ სურვილი უსაზღვრო იყო, ვერავინ და ვერაფერმა დაგაკავა.

ღმერთო, დაგვიფარე, მხოლოდ შენ გვყავხარ გვარის გამგრძელებელი. დედისერთა არ უნდა წასულიყავი მეთქი, რომ გითხარი, გაღიმებულმა მიპასუხე: დედა, ქართულ ოჯახთა უმეტესობა ან ერთშვილიანია ან ორშვილიანი და საქართველო ვინღა დაიცვასო?!

წახვედი და უსაზღვრო მწუხარება დამიტოვე. მაგრამ მეხუთე დღეს ფეხნატკენი უკან ჩამოგიყვანეს. საავადმყოფოდან ექთანი გოგონა გწერდა: არ გეწყინოს, ასე ვიფიქრე, ვინ არის ეს ბავშვი ვაჟკაცის ტანსაცმელში გამოწყობილიო. შენ და შენს ტოლ გვარდიელებს გწყინთ, ბავშვებს რომ გეძახიან უფროსები, მართალიც ხართ. ადამიანი, რომელიც სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობას იგრძნობს, ბავშვი აღარ არის.

ფეხი რომ მოგირჩინეს, გთხოვე, გამოცდები ჩააბარე და მერე წადი აფხაზეთში-თქო, მაგრამ პირველი გამოცდა ჩააბარე და ისევ გამეპარე...

მეორე დილით, ზღვაზე რომ მოგაკითხე, გუშინ გაფრინდნენო... სახლისაკენ მოვდიოდი და ვტიროდი, თან გულში მეამაყებოდა, სამშობლოს სიყვარულმა რომ დაგავაჟკაცა.

ომია, დიდი ომი, ღმერთო, ყველა დედას უვნებელი დაუბრუნე შვილი. უვნებელი დამიბრუნდი მეც, შვილო, შენ უნდა გააგრძელო ჩვენი ჯიში.

დედაშენი **ჟუჟუნა კვეზერელი**

## ჯარისკაცის

ის ლამაზი სიკვდილით მოკვდა. (თუ მკრეხელობად არ ჩავთვლით სილამაზესთან სიკვდილის გაიგივებას). მოკლულ ჯარისკაცზე დამხობილი, ერთიანად დაცხრილული იწვა ტყვიებით გასხეპილი მანდარინის ხის ძირას და ღია თვალებში ტკივილი ჩაჰყინვოდა.

როდესაც გუმისთასთან 16-17 მარტის ცნობილმა სისხლის წვიმამ გადაიღო, მეორე საარმიო კორპუსის 23-ე ბრიგადის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა გენო ადამიამ იმ დღეების გმირთა შორის ერთ-ერთი პირველი მედდა ნონა მურღვლიანი დაასახელა. ის ერთადერთი ქალი იყო სოხუმის დამცველი ამ შენაერთის მამაცთა სიკვდილით დაცემულ მებრძოლთა შორის;

ერთადერთი და უმამაცესი.

16 მარტს, ღამის პირველ საათზე, მდინარე გუმისთის გასწვრივ, ზღვის სანაპიროდან სოფელ აჩადარის ხიდამდე ჩასანგრებულ ბატალიონებს ავიაციისა და არტილერიის ცეცხლის წვიმა დაატყდა თავს. აფხაზ ბოევიკთა და დაქირავებულთა რაზმებმა მდინარე გადმოლახეს...

განსაკუთრებით ძლიერი შეტევა განხორციელდა მეორე ბატალიონის პოზიციებზე. მოწინააღმდეგემ არტილერიით მწყობრიდან გამოიყვანა ასეულების შორისების დანაღმული საფარი და მოულოდნელად მოადგა სანგრებს. ბიჭები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ.

შემოტევა იმდენად მძლავრი იყო, რომ უკვე ღამის სამის ნახევრისთვის ბატალიონის შტაბი მტრის ხელთ აღმოჩნდა. ასეულებმა უკან დაიხიეს. მოწინააღმდეგე რკინიგზის გაყოლებით ქალაქისაკენ გამოიჭრა და ბზიფის გზატკეცილის დაკავებასა და ბრძოლაში მძიმე ტექნიკის შემოყვანას შეეცადა.

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მესამე ასეული. მის პოზიციებს ნაღმებისა და ხელყუმბარების სეტყვა დააყარეს.

ასმეთაურმა თემურ სტეფლიანმა თავისიანებს უბრძანა: მოწინააღმდეგე ახლოს მოვუშვათ, უჩემოდ არ ისროლოთო. და ისეთი ცეცხლი შეაგებეს, ბრძოლის ველი სასაკლაოს დაემსგავსა.

მედდა ნონა მურღვლიანი უშიშრად გადადიოდა სანგრიდან სანგარში. დაჭრილებს იარებს უხვევდა. ცალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთიანობისათვის

## სიკვდილი

ხელში წითელჯვრიანი ჩანთა ეკიდა, მეორეში — ავტომატი და დროდადრო მტერს უშენდა. ქალიშვილის გულადობა და შემართება ძალას მატებდა თანამებრძოლებს.

მალხაზ ქარდავას დახმარებით დაჭრილი გოგი ავალიანი გაარიდა იქაურობას, შემდეგ — გენო ჩარგეიშვილი.

თვალი ჰკიდა გასისხლიანებულ ოცმეთაურს ფრიდონ ტყემალაძეს, აფხაზები შემორტყმოდნენ გარს. ავტომატს დაცლილი მჭიდე გამოუცვალა და მოკლე გადარბენებით მისკენ გაიქცა.

ვერ მიუსწრო: დაჭრილი ფრიდონი უცებ წამოიმართა მკერდზე ხელყუმბარამიკრული, გაისმა აფეთქების ხმა და ჭაბუკის დაფლეთილ სხეულთან ერთად მტრის რამდენიმე გვამიც დაეცა მიწაზე.

ნონას ცრემლმა აუწვა თვალები. რა ბიჭები იღუპებიან!..

— აქეთ, აქეთ ნონა, გელა დაჭრეს! — მოესმა ძახილი.

გელა ქალდანს იარაღი ხელიდან გავარდნოდა და სისხლისგან იცლებოდა.

— გაუძელი, ბიჭო, გაუძელი, შენი ჭირიმე! — ჩურჩულებდა ნონა და სახელდახელოდ უხვევდა ნატყვიარ მკერდს. მერე ზურგზე მოიკიდა იმსიმძიმე ვაჟკაცი და მანდარინის პლანტაციისკენ გაზოზდა.

როდის-როდის გაიყვანა სამშვიდობოს, ხის ძირში მიაწვინა და ყელში გულმობჯენილმა ოფლი მოიწმინდა. ტყვიამფრქვევის პირველმა ჯერმა სწორედ ამ დროს დაწინწკლა მის წინ მიწა, უმალ გელას გადაეფარა და ტკივილს დაელოდა...

მხოლოდ 17 მარტს, დილის 11 საათისათვის მთლიანად აღდგა მეორე ბატალიონის საბრძოლო პოზიციები. წამოშველებული სამხედრო პოლიციის რაზმის, მეზობელი მეექვსე და გვარდიის შავნაბადას ბატალიონების დახმარებით მომხვდურთა დიდი ნაწილი ამოწყვიტეს, ზოგიც უკან, მდინარისკენ ჩარეკეს.

მაგრამ გამარჯვება დიდი მსხვერპლის ფასად იქნა მოპოვებული — ბატალიონმა 35 მებრძოლი დაჰკარგა. მათ შორის იყო მომხიბლავი ქალიშვილი — რიგითი ჯარისკაცი ნონა მურღვლიანი.

**ალეკო ასლანიშვილი**

## სოხუმს ხაკისფერი მოსძალებია

გაზაფხულის მშვენიერ დღეს, სოხუმის აეროპორტში, ჩვენ, აჭარის ქალთა დელეგაციის წევრებს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამდივნოს უფროსი, ბატონი ჯუმბერ ბეთაშვილი და აფხაზეთის ადამიანთა უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ეთერ ასტემიროვა დაგვხვდნენ, რომლებსაც ექვსი მილიონი მანეთის ღირებულების მედიკამენტები, ჩასაცმელ-დასახური, პროდუქტები და აუცილებელი მოთხოვნილების საგნები ჩავუტანეთ, რაც სულით და გულით შეაგროვეს აჭარის საწარმო-დაწესებულებებმა.

აფხაზეთში ქალთა დელეგაციის გამგზავრებას ხელმძღვანელობდა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ქალთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი ნანი გუგუნავა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა აჭარის ქალთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლამარა ბოლქვაძე.

გზა აეროპორტიდან სოხუმისაკენ მიდის, მანდარინით დახუნძლული ბაღები და იქვე კარ-ფანჯრებზე აჭედილი ფიცრები. ზოგან დანგრეული, გაპარტახებული, მიტოვებული სახლები. საშინელი შეუსაბამობა.

ჩვენ ვერ შევძელით ფრონტის ხაზთან მიახლოება, მაგრამ გვერწმუნეთ, არანაკლებ შემზარავი იყო უსიცოცხლო ქუჩებისა და სახლების ხილვა. ხაკისფერი მოსძალებოდა ქალაქს. მის ქუჩებში, ბირჟებზე ახალგაზრდა, პირტიტველი ბიჭები ამაყად იდგნენ.

ჩვენი დელეგაცია მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბატონმა ლორიკ მარშანიამ.

ბატონ ლორიკს, ეროვნებით აფხაზს, კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. იგი ყოველთვის ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის სწორ პოზიციაზე დგას.

გაიმართა გულახდილი საუბარი.

ბატონი ლორიკი სიამაყით ამბობს, რომ სოხუმელთა დიდი უმრავლესობა ქალაქიდან არ გასულა. გულისტკივილით საუბრობს ვლადისლავ არძინბას ავანტიურისტულ პოლიტიკაზე. აკი თავისი პოზიცია არძინბასადმი გაგზავნილ წერილშიც შესანიშნავად ჩამოაყალიბა.

— ქართველებსა და აფხაზებს მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, ღრმა ფესვები გვაკავშირებს. მათი ამოძირკვა არ შეიძლება. აფხაზებმა აქ უნდა ვიცხოვროთ, ჩვენ სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია. ომი რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს და შერიგება ჩვენი ურთიერთობების აღდგენით უნდა დავიწყოთ. რაც შეეხება თქვენს დელეგაციას, ლამაზი დელეგაცია გახლავთ. იცით, რატომ? ქალთა ასეთი საკრებულო პირველად გვესტუმრა. მარტო ქალების, დედების თვე. დედა ყველგან, ყველა სიტუაციაში დედაა, მას შვილების ხიცოცხლე სურს, — გვითხრა ბატონმა ლორიკმა ალალად.

ქალბატონი ეთერ ასტემიროვა ყაბარდოელია, სოხუმში დაიბადა და გაიზარდა. შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად და თანაც კარგი მოსაუბრეა. კომიტეტს, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, დიდი სახელმწიფოებრივი საქმე აქვს. ომმა ათასობით ადამიანი საკუთარ მიწა-წყალზე ლტოლვილად აქცია. ოჯახის წევრებს, ახლობლებს უჭირთ ერთმანეთის მოძებნა. მარტო მათ შესახებ ინფორმაციების მოპოვება და ადამიანებისათვის ამ ცნობების მიწოდება ადვილი არ გახლავთ.

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ მთელი შვიდი თვის მანძილზე პირველად მიხარია რაღაც, — თქვა ქალბატონმა ეთერიმ. ეს სიხარული თქვენმა სტუმრობამ მომანიჭა.

აფხაზეთის კულტურის მინისტრს ქალბატონ სვეტლანა ქეცბას ვერ წარმოუდგენია ქართველებისა და აფხაზების გათიშვა. აფხაზებს, ისევე როგორც ქართველებს, ხომ საქართველოს გარდა სხვა სამშობლო არ გააჩნიათ.

ვტოვებთ ქალაქს. შტაბის წინ სოხუმელი ბიჭები დგანან. ოპტიმისტურად საუბრობენ, მშვიდობა მონატრებიათ. გვეამაყება, რომ ჩვენი ნობათი მათაც შეხვდებათ.

ვუმშვიდობებით მასპინძლებს, უკეთესი, ლამაზი დღეების იმედი მიგვყვება.

**ნათია პაპაშვილი,**

სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

განვაგრძობთ ახალგაზრდა დედების შეკითხვებზე ექიმ მატოუშეკის პასუხების ბეჭდვას

# ბავშვის უმეთვალყუროდ დატოვება დაუშვებელია

**— ხანდახან მიღიმის, ნეტავ მცნობს?**

— რასაკვირველია, ახალშობილი ჯერ დიდ, ნათელ და ბნელ ლაქებს ამჩნევს. მეორე კვირის თავზე დიდ საგნებსაც. მეორე თვის ბოლოს კი მასთან მიახლოებულ სახესაც ხედავს. ორი თვისა ღიმილით ხვდება დედას და ცდილობს იმ საგნების დანახვას, რომლებიც მაღალ ხმას გამოსცემენ.

**— ესე იგი, ესმის კიდეც?**

— ეს ძნელი დასადგენია მეექვსე თვეზეც კი. თუმც ზოგ შემთხვევაში მანამდეც შეიძლება დადგენა. პირველ კვირებში ბავშვი რეაგირებს დიდ ხმაურზე. ვთქვათ, ტაშის შემოკვრაზე, საგნის ძირს დაგდებაზე შეკრთება, ხელებს შლის, ან კუმშავს. ზოგჯერ იტირებს კიდეც. მეორე თვიდან უფრო სუსტ ხმაზეც რეაგირებს.

თუ ხმაურზე რეაქცია მაშინვე არ მოგცათ, ნუ შეშინდებით. შეიძლება იგი სხვა რამითაა დაკავებული, ან ძალზე მშვიდია და არ კრთება.

ორი თვიდან ბავშვი „ალუს" ამბობს, რომელიც ნელ-ნელა გადადის სხვადასხვა ხმოვნიანი მარცვლის გამოთქმაში. მეტყველება რომ ისწავლოს, უნდა მოისმინოს საუბარი, „ალუს" ყრუ ბავშვიც ამბობს. მაგრამ შემდეგ წყვეტს, რადგან არ ესმის გარშემომყოფთა საუბარი.

**— თამაში ახლავე უნდა დავუწყოთ?**

— რასაკვირველია, ის უკვე თამაშობს ხელებით. იწყებს საგნების დაჭერას. ამიტომ უნდა მიაწოდოთ ისეთი საგანი, რომელსაც ხელით მოეჭიდება. ყველას სჯობს საჟღარუნო.

საწოლის თავზეც შეიძლება გაუბათ თოკი, რომელზეც მსუბუქი და მყვირალა ფერის სათამაშოებს დაჰკიდებთ.

**— მეჩვენება, რომ მარჯვენა ბარძაყზე ერთი ნაკეცით მეტი აქვს. ამოვარდნილობა ხომ არ ექნება?**

— როცა სწორად დააწვენთ, ნაკეცებიც სიმეტრიული გამოჩნდება და მუხლებსაც თავისუფლად გაშლის, მაგრამ სრული სიზუსტით თქვენს ეჭვს რენტგენის სურათი გაჰფანტავს.

**— რენტგენის დასხივება საშიში ხომ არ არის?**

— ის დოზა, რაც ბავშვის სურათს სჭირდება, საშიში სულაც არ არის, თუ ამოვარდნილობას დროზე დავადგენთ, უმრავლეს შემთხვევებში ეს დეფექტი სწორდება.

**— უკვე განმიახლდა მენსტრუაცია. შემიძლია თუ არა ამ დროს ძუძუს წოვება?**

— რასაკვირველია, შეგიძლიათ. ეს არც ბავშვისათვის, არც თქვენთვის საზიანო არ არის. მართალია, რძეს ცოტათი გემო ეცვლება და ზოგი ბავშვი ან ცოტას, ან სულაც არ სწოვს, მაგრამ რძე უნდა გამოიწველოთ და სხვა საკვებთან ერთად კოვზით მაინც მისცეთ, როცა ეს პერიოდი დამთავრდება, ძუძუს წოვება უნდა აღადგინოთ.

**— წვენების მიცემა განვაგრძო?**

— ცხადია, მიეცით სხვადასხვა ხილის წვენი, მხოლოდ ფრთხილად. როცა ახალ ხილს აძლევთ, დაიწყეთ რამდენიმე წვეთით და თუ არც კუჭი აეშალა და არც გამოაყარა, დოზა თანდათან გაზარდეთ.

რაც შეეხება რბილ ხილს, ასევე ფრთხილად თანდათან მიეცით მარწყვის, ატმის, გარგარის, მსხლის, ქლიავის, ფორთოხლის დასრესილი რბილობი.

**— შინმოხარშული კომპოტის წვენი რომ მივცე?**

— შეიძლება, მაგრამ ის ვერ შეცვლის ახალი ხილის წვენს.

**— მეზობლის ქალი სამი თვის ასაკიდან აძლევს თავის შვილს მანანის ბურღულის ფაფას, ხომ არ მივბაძო?**

— მეზობლის მიბაძვით ნურაფერს გააკეთებთ. სჯობს ჰკითხოთ ექიმს. საერთოდ მანანის ბურღულს მეხუთე თვიდან აძლევენ.

**— ამას წინათ კინაღამ მაგიდიდან გადმოვარდა.**

— არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ბავშვის დატოვება უმეთვალყუროდ დაუშვებელია, რადგან მას შეუძლია გაცოცდეს და საკმაოდ სწრაფადაც. სამი თვისა საკმაოდ მოძრავია. მუცელზე მწოლიც კი თავს ზევით სწევს, ხელებს ეყრდნობა და შეიძლება გადატრიალდეს კიდეც.

**— ბალიში კიდევ არ დავუდო?**

— თქვენ ალბათ ლამაზად მოქარგული ბალიში გხიბლავთ, რას იზამთ, ბალიში ბავშვს არ სჭირდება. მისი ხერხემლის სწორად განვითარებისათვის სჯობს სწორ ზედაპირზე იწვეს, ამიტომ არ არის რეკომენდებული რბილი მატრაცი ან ისეთი ბადიანი საწოლი, რომელიც ბავშვის სიმძიმით იზნიქება.

ბალიში ზედმეტია საბავშვო ეტლშიც კი.

იმ ბავშვების დედები, რომლებსაც ღებინებისაკენ აქვთ მიდრეკილება, ბალიშს უდებენ, რათა პატარას თავი შემაღლებულზე ჰქონდეს, მაგრამ აქაც სჯობს უბალიშოდ გადავჭრათ პრობლემა. საწოლის ფეხებქვეშ, თავის მხრიდან შევდოთ ხის გადანაჭრები. ეს სასთუმალს აამაღლებს.

**— ახლა თათებიან შარვალს („კოლზუნკი") ვაცმევ.**

— კარგა ხნის წინათაც შეგეძლოთ ამის გაკეთება. რადგან რაც ნაკლებად უშლის ხელს ბავშვის მოძრაობას ტანსაცმელი და სახვევები, მით უკეთესია. ზოგ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში საერთოდ არ ხმარობენ კონვერტებს და ძალიან ადრე აცმევენ თათებიან შარვალს, რასაც ბევრი უპირატესობა აქვს. ოღონდ ეცადეთ რეზინამ ბავშვი არ შეაწუხოს.

**— ჩემი ქმარი თვლის, რომ ბავშვის მოვლა ქალის საქმეა.**

— ეს არასწორი, მავნე შეხედულებაა. ის მამაკაცი, რომელიც ასე ფიქრობს, დიდ სიამოვნებას აკლებს თავის თავს.

ყველა მამა გულისყურით უნდა ადევნებდეს თვალს ბავშვის ბანაობას, გადახვევას, კვებას და თანდათან ჩაებას ამ საქმეებში. დედამაც მოთმინება უნდა იქონიოს და ქმარი ნელ-ნელა შეაჩვიოს ბავშვზე ზრუნვას. ნუ დაუჟინებთ აკეთოს ის, რაც არ მოსწონს, ვთქვათ, დასვრილი საფენების გატანა ან რეცხვა. გამოიყენეთ იმ საქმეში, რაც მეტად სიამოვნებს ან ეხერხება: ბანაობა, წყლის გაცხელება, შემოტანა, გატანა. სწორედ პირველი თვეებიდან ეყრება საძირკველი მამისა და შვილის ურთიერთობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეს „აუტანელი“ საყვარელი ბავშვები...

**ხშირად მოთმინებას ვკარგავთ ჩვენი შვილების აუტანელი საქციელის გამო. ვერ აგვიხსნია მათი აგრესიულობა. უსუსურობის შეგრძნებას სასოწარკვეთამდე მივყავართ. აღარ ვიცით, რა წყალში გადავვარდეთ. ფსიქოლოგების აზრით ბავშვების გაბოროტების მიზეზი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მშობლები ყოფილან, ან უფრო სწორად ის, რომ მათ არ იცოდნენ სპეციალისტთა რეკომენდაციები.**

**გთავაზობთ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის იულია ჰიპენრეიტერის მოსაზრებებს, რომლებიც აგიხსნით ბავშვების „მავნე“ ჩვევებს და დაგეხმარებათ ხელახლა აღმოაჩინოთ თქვენი შვილები.**





შვილთან კარგი ურთიერთობის დამყარების ყოველი ცდა უშედეგო იქნება ერთი მარტივი წესის გაუთვალისწინებლად: ბავშვი უნდა გიყვარდეთ ისეთი, როგორიც არის, მიუხედავად იმისა, ლამაზია თუ არა, ნიჭიერია თუ გონებაშეზღუდული. განგებამ როგორიც გარგუნათ, ისეთთან მოგიწევთ ურთიერთობა სიცოცხლის ბოლომდე. ალბათ, ჯველა ჩვენგანს უთქვამს შვილისათვის „უწყინარი“ ფრაზები: „თუ კარგად მოიქცევი, მაშინ ძალიან მეყვარები“, „თუ ბებიას გაუგონებ, ყველაფერს გიყიდი“, „მე შენ მეყვარები თუ...“ ამ სიტყვებით გარკვეულ პირობას ვუყენებთ ბავშვებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. არც ასეთი გამონათქვამებია მისაღები: „შომაბეზრე თავი“, „ერთი სული მაქვს შენს დაძინებამდე, რომ დავისვენო“ და ა. შ. ყველა მშობელს აქვს მძიმე წუთები, როცა სურს თუნდაც ცოტა ხნით „გაექცეს“ საკუთარ შვილს. ბავშვი გრძნობს ამას და აქედან ერთმნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს: რომ იგი ცუდია, არავის უყვარს და არავის სჭირდება. ზოგიერთი ბავშვი ვერ უძლებს ამ „საშინელ ჭეშმარიტებას“ და გარბის სახლიდან. ერთმა ბიჭუნამ ასეთი წერილი დაუტოვა დედას: „დედიკო, ნუ მომძებნი. შენ ხომ სულ იმას ამბობ, რომ უჩემოდ უკეთ გრძნობ თავს“.

ბავშვი მშობლის ამგვარ გამონათქვამს პირდაპირი მნიშვნელობით იგებს. სჯერა, რასაც უფროსი ეუბნება. რაც უფრო ხშირად ვუბრაზდებით, მით უფრო რწმუნდება, რომ ის არავის უყვარს. ამიტომაც ბავშვს ეუფლება სიმარტოვის განცდა — ე. წ. **ემოციური სიმარტოვე**, რის შედეგადაც ველარ გრძნობს, ველარ „ხედავს“ მშობლების სიყვარულს. ფსიქოლოგებმა დაასაბუთეს, სიყვარულის მოთხოვნილება არის გრძნობა, რომ ვიღაცას სჭირდები და ეკუთვნი, რომლის გარეშეც ბავშვებში უამრავი ემოციური პრობლემა წამოიჭრება.

იყო ასეთი შემთხვევა; მშობელმა შვილი მიიყვანა ექიმთან. ბავშვს ნევროზული სიმპტომები ჰქონდა. საუბრისას გამოიკვეთა დაავადების მიზეზი. ერთხელ დედას უთქვამს შვილისათვის: „ცხოვრებაში შენ **ჩემი ყველაზე დიდი უსიამოვნება ხარ.**

ყოველმა მშობელმა უნდა გამოძებნოს საერთო ენა შვილთან, რომელშიც იქნება ნდობის ტონი. შესაძლოა ზოგიერთი ფიქრობს, რომ მეგობრული ურთიერთობა შეუთავსებელია აღზრდასთან, მაგრამ, როგორც ირკვევა, მშობლისათვის სწორედ თანატოლის, მეგობრის პოზიციის შენარჩუნებაა ძნელი, რისთვისაც შემოქმედებითი უნარი, ხელოვნებაა საჭირო.

ბავშვები მტკივნეულად განიცდიან, როდესაც მშობელი არ ემეგობრება, არ ელაპარაკება, არ თვლის ადამიანად, უყვირის, ბრძანებლობს: გააკეთე, დაალაგე, მოიტანე. ბავშვები ეძებენ ისეთ გარემოს, სადაც მოუსმენენ, გაუგებენ. არადა, მშობლებს შესწევთ უნარი, აღადგინონ შვილთან უკიდურესობამდე მისული ურთიერთობა. აბა დაუკვირდით, დღის განმავლობაში რამდენჯერ გაამხნევეთ, შეაქეთ, რამდენჯერ მოეფერეთ და რამდენჯერ გააკრიტიკეთ, გაუჯავრდით. თუ უარყოფითი სჭარბობს დადებითს, მაშინ თქვენ არასწორი ურთიერთობა გაქვთ შვილთან.

**ირწმუნეთ — ბავშვის ცემა და დასჯა ყოვლად დაუშვებელია. თქვენი აგრესია ბავშვის გაბოროტებას და სასოწარკვეთას გამოიწვევს.**

ამერიკელი ფსიქო-თერაპევტების აზრით, დედის ალერსი, უბრალოდ თავზე ხელის გადასმა, ხშირ შემთხვევაში ფსიქოთერაპიული სეანსის ტოლფასია.

მშობლები ხშირად საყვედურობენ, რომ ბავშვი უარს ამბობს ამა თუ იმ საქმის გაკეთებაზე. ბავშვის სიჯიუტის მიზეზი ემოციური პრობლემიდან მომდინარეობს. პატარა მუდმივად საჭიროებს მშობლის მორალურ მხარდაჭერას, რაც ხშირად სიტყვითაც მიიღწევა.

მეგობრული ტონი მთავარი პირობაა შვილებთან კარგი ურთიერთობისათვის. თუ ბავშვი უარყოფს თქვენს დახმარებას, დაუკვირდით, როგორი ტონით სთავაზობთ მას ამ დახმარებას.

საერთოდ, ბავშვში ძლიერად არის გამოხატული აქტიური მოქმედების სურვილი, რაც მშობელმა არ უნდა გაუნელოს. ხშირად შვილის ეგოიზმისა და სიზარმაცის მიზეზი მშობლები ვართ. ნუ ჩაერევით ბავშვის საქმიანობაში, თუ თავად არ ითხოვს ამას თქვენგან. ვთქვათ, ბავშვი აწყობს მოზაიკას, ალაგებს ოთახს თუ მაგიდას. მშობლების უმეტესობა აკრიტიკებს შვილს: „რამდენჯერ გითხარი, ისე არ უნდა გააკეთო", „არ ვარგა", ან „ნახე, როგორ უნდა". შენიშვნები ბავშვებზე უარყოფითად მოქმედებს. ერთი თავს ჩაქინდრავს, მეორე მოიწყენს, მესამე შეეპასუხება: „არ მოგწონს და საერთოდ აღარ გავაკეთებ". ჩვენი შენიშვნებით მხოლოდ გულს ვტკენთ პატარას. **ამიტომ მოდით, მოვითმინოთ და დავიმახსოვროთ ფსიქოლოგიური კანონზომიერება: ნუ გააკრიტიკებთ, ნუ დასცინებთ, ნუ დასჯით შვილს, თუ იგი რაღაცას კარგად ვერ აკეთებს. თავდაპირველად ბავშვი ყველაფერს ნელა, ჯახირით, შეცდომებით აკეთებს და სწორედ ამ შეცდომებზე სწავლობს.**

რაიმეს შესწავლა სამი საფეხურისაგან შედგება:

**პირველი** არის ცოდნა, რაც ბავშვს აქვს.

**მეორე** — რაიმეს ათვისება, რომელიც ვარჯიშის შედეგად მიიღწევა.

**მესამე** — ბავშვის სულში მეცადინეობის შედეგად დარჩენილი ემოციური კვალი — კმაყოფილების ან უკმარისობის გრძნობა, დარწმუნება თუ დაურწმუნებლობა თავის ძალებში.

შეეცადეთ გამოიჩინოთ ინტერესი ბავშვის ყოველი საქმიანობისადმი, რაც დაგაახლოებთ მასთან.

ბავშვი სიარულს რომ სწავლობს, წვალობს, ეცემა, სტკივა, მაგრამ მაინც ბედნიერია. ამ დროს ალბათ არც ერთ მშობელს არ მოუვა აზრად უთხრას ბავშვს: „განა ეს სიარულია? რატომ ბარბაცებ? შემომხედე და დაიმახსოვრე, როგორ უნდა გაიარო".

ასევე უაზროა ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნა მაშინ, როცა ბავშვი სწავლობს რაიმე საქმის დამოუკიდებლად კეთებას. შეიძლება შემოგვედაოთ, როგორ ვასწავლოთ ბავშვს, თუ შეცდომებზე არ მივუთითეთო. ბავშვი კმაყოფილია იმით, რაც გააკეთა, რასაც მიაღწია. ის უფროსებზე ბევრად მომთმენია და იცის, რომ დროთა განმავლობაში უკეთ გააკეთებს.

ზოგჯერ რაიმეს კეთებისას ბავშვი საჭიროებს ჩვენს დახმარებას. ამ შემთხვევაში უკეთესია უთხრათ: „მოდი, ერთად გავაკეთოთ". მაგრამ როცა ბავშვი დახმარებას თვითონ გთხოვთ, ნუ ეტყვით: პატარა ხომ არა ხარ, თავად გააკეთეო.

ერთმა დედამ შესჩივლა ფსიქოლოგს: „მე და ჩემი მეუღლე ვსაუბრობდით, მოგვიახლოვდა ბავშვი და ჯოხით დაგვიწყო ცემა".

ფსიქოლოგი დაინტერესდა, რამდენ დროს უთმობდნენ მშობლები შვილს, გამოირკვა, რომ მინიმალურს. მშობლის უყურადღებობა ბავშვში აგრესიას იწვევს. ასე რომ, ბავშვის ერთი შეხედვით „არანორმალური ქცევა", სავსებით ნორმალური და ბუნებრივი რეაქციაა მშობლების მიმართ.

**დაიმახსოვრეთ: ბავშვთან ურთიერთობისას თუ მეცადინეობისას თქვენს თავზე მხოლოდ ის აიღეთ, რაც მას დამოუკიდებლად არ შეუძლია, დანარჩენს თავადაც მშვენივრად გააკეთებს.**

და კიდევ: ბავშვები მუდამ ცდილობენ გააკეთონ ის საქმე, რასაც უფროსი აკეთებს. შეეცადეთ არ ჩაკლათ მასში ეს სურვილი, თუმცა აქაც სიფრთხილე და ზომიერება გმართებთ. ბავშვს ნაადრევად ნუ „გადაულოცავთ" თქვენს ფუნქციებს, თორემ მომავალში შეიძლება სულაც დაკარგოს ამ საქმის კეთების სურვილი.

მოდით, ნუ დავიშურებთ შვილისათვის სიყვარულს, გულისხმიერებასა და ყურადღებას, რაც მას ჰაერზე და წყალზე ნაკლებ როდი სჭირდება.

მოამზადა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა

**მაკა ხარშილაძემ**





# ქალთა კლუბი „მეტეხი" სიკეთეს თესავს

— ჩვენი მიზანია ჩვენს მიერ გაღებულმა დახმარებამ, ქველმოქმედებამ, მატერიალური იქნება ის თუ სხვა სახის, აუცილებლად მიაღწიოს ადრესატამდე, ამიტომ ყოველთვის პირადად, ხელიდან ხელში გადავცემთ ხოლმე მას, ეს ჩვენი კლუბის პრინციპია, — მითხრა ქალთა კლუბ „მეტეხის" პრეზიდენტმა ქალ-

ბატონმა მარინე გუნიამ, როცა საუბარი მათ მიერ თავდაცვის ფონდისათვის გაღებული თანხის უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურისათვის გადაცემაზე ჩამოვარდა, რაც ტელევიზიითაც დაფიქსირდა.

**— რატომ ბანკებს და საანგარიშო ნომრებს არ ენდობით?**

— როგორ გითხრათ, ასე უფრო დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ჩანაფიქრი შესრულდა, თუმცა არ მინდა ვინმეს ეჭვით შეურაცხყოფა მივაყენო.

დიახ, ეს მართლაც მათი პრინციპია. ამ ორი წლის მანძილზე, რაც ეს კლუბი არსებობს, ადრესატებთან მათ შუამავალი არ დასჭირვებიათ. ისინი უშუალოდ მიდიან იმ ადამიანებთან, ორგანიზაციებში, ვისთვისაც დახმარების გაწევა სურთ და მატერიალურის გარდა სიტყვიერ, მორალურ თანადგომასაც გამოხატავენ, ამშვიდებენ, ნუგეშს აძლევენ.

სასტუმრო „მეტეხის“ ბაზაზე შეიქმნა ეს კლუბი და ამიტომაც ატარებს მის სახელს. მასში ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო ქალბატონები არიან გაერთიანებული, რითაც ერთგვარად ქალთა ძველ სახელგანთქმულ სალონებს მოგვაგონებს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ მანანა ორბელიანის ცნობილი სალონი ლიტერატურული საღამოებითა და ხელოვნებაზე, კულტურაზე, მწერლობაზე სჯა-ბაასით შემოიფარგლებოდა, ამ მანდილოსნების თავშეყრისა და საუბრის თემა სხვაა — მოყვასისათვის, გაჭირვებაში მყოფი ადამიანისათვის დახმარების ხელის გაწვდენა, დუხჭირი ყოფის მცირედ მაინც შემსუბუქება. და რადგან ჩვენს მართლაც გაუსაძლის ყოველდღიურობაში ყველაზე მეტად მოხუცებსა და ბავშვებს უჭირთ, მათი ზრუნვის საგანიც სწორედ ესენი არიან, თუმცა არც ომი და ლტოლვილები ავიწყდებათ და არც სტიქიით დაზარალებულები. ამასწინათ 60 ათასი მანეთი გადასცეს ფირმა „კათარზისის“ პრეზიდენტს ზაურ ალადაშვილს, რომელიც ამ თანხას მცირეწლოვან ბავშვებიან ლტოლვილ ოჯახებს გაუნაწილებს.

2 იანვარს სასტუმრო „მეტეხში“ მათი თაოსნობით გაიმართა ბედობის დღესასწაული, რომლის მონაწილეებმაც აფხაზეთში მებრძოლი მეომრებისათვის შემოწირულობა გაიღეს, თანხამ, მთლიანად 250 ათასი მანეთი და 80 დოლარი შეადგინა.

თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ამ გულისხმიერ ქალბატონებს ადრე გაკეთებული სიკეთეც არ დავუკარგოთ. შარშან მათ ფირმა „ინტრო აგ შვაიცუნგ“ ერთად თბილისის უდედმამო ბავშვთა სახლი მოინახულეს და მის ჩვილ აღსაზრდელებს უსასყიდლოდ გადასცეს საკვები, კონსერვები, ხილფაფები.

მცხეთის დედათა მონასტერსაც ესტუმრნენ, სადაც 50 მონაზონი საკმაოდ მძიმე პირობებში ცხოვრობს. ქალთა კლუბმა და ფირმა „კავკასიონმა“ თბილი ტანსაცმელი და სამონაზვნო სამოსელისათვის შავი ქსოვილი, აგრეთვე 100 წყვილი წინდა და ფეხსაცმელი გადასცეს მონასტერს.

შემდეგ სასტუმროში უდედმამო ბავშვებისათვის ბავშვთა ანსამბლის (ხელმძღვანელი ზურაბ ლალიაშვილი) კონცერტი გაიმართა. კონცერტს საჩუქრებიც ახლდა — ტანსაცმელი, ტკბილეული, სათამაშოები. ისეთი ლამაზი და თბილი საღამო გამოსულა, რომ ერთ-ერთმა ბავშვმა დედის ალერსს და სითბოს შეადარა თურმე. შემდეგ იყო შეხვედრა სახელგანთქმულ ლექსო თორაძესთან. ამ შეხვედრაზე შემოსული თანხა 34 ათასი მანეთი (შარშან ეს თანხა ერთობ სოლიდური გახლდათ) წიკორწმინდის აღდგენის ფონდს გადაეცა. ასევე ქალთა კლუბის ინიციატივით გაიმართა კონცერტი საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მონაწილეობით, მოეწყო მხატვარ თ. მირზაშვილის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, საიდანაც შემოსული თანხა ამჯერად რუსთაველის პროსპექტის აღდგენითი სამუშაოებისათვის გადაიგზავნა.

და კიდევ ვინ იცის, რამდენი ასეთი საქველმოქმედო კონცერტი, ღონისძიება, გამოფენა.., თუმცა „მეტეხის“ წარმომადგენლებს ყველაზე მეტად მათი კლუბის უცხოელი წევრები ეხმარებიან. მაგალითად, ქალბატონი კრისტინა შტაინ-მაიერი ვენიდან. მან ამასწინათ 15 ყუთი ბავშვის საკვები გამოგზავნა, აგრეთვე კლუბი „მეტეხი“ ვენის ერთ-ერთ დიდ საქველმოქმედო კლუბთან დაკავშირა. ესენი ერთობლივ დახმარებას გაუწევენ თბილისის უდედმამო ბავშვთა სახლს, 250 ათასი შილინგის ღირებულების ფეხსაცმელს, ტანსაცმელსა და სათამაშოებს გადასცემენ მათ, სახლის ავადმყოფ ბავშვებს კი ვენაში წაიყვანენ სამკურნალოდ.

ამერიკელმა ქალბატონმა თრიშ ბლეიერმა, რომელიც აგრეთვე ამ კლუბის წევრია, ჯანმრთელობის სამინისტროს უკვე მესამედ ჩამოუტანა დახმარების დიდი ტვირთი, რომლის ნაწილს ქალთა კლუბი „მეტეხი“ თბილისის ბავშვთა სკოლა-ინტერნატს გადასცემს.

უცხოეთთან კონტაქტების კიდევ უფრო გასამყარებლად იქმნება ამერიკა-საქართველოს ერთობლივი საქველმოქმედო კლუბი „მეტეხი“, რომელიც საქართველოში უცხოური ბიზნესის აყვავებას შეუწყობს ხელს. ამ კლუბში, რომელსაც ოფისი ჩვენთან ექნება, ერთმანეთს შეხვდებიან ქართველი და უცხოელი ბიზნესმენები, დაიდება საქმიანი კონტრაქტები. კლუბში შემოსული მთელი თანხა ქველმოქმედებაში დაიხარჯება.

ქალთა კლუბ „მეტეხის“ მუდმივი წევრები არიან აგრეთვე ელისაბედ ჰასკელი ვაშინგტონიდან, აირინ ბრაუნი — ამერიკიდან, ჯულიეტა ბონომი — იტალიიდან, რენეტა დანჰოფი — გერმანიიდან. ისინი ყოველთვის ცდილობენ დახმარება აღმოგვიჩინონ, კონტაქტები დაგვამყარებინონ.

ეს რაც შეეხებათ კლუბის უცხოელ წევრებს, მაგრამ არაფერი გვითქვამს მის ძირითად შემადგენლობაზე, ჩვენს თანამემამულე იმ მშვენიერ მანდილოსნებზე, რომელთა სახელები, ალბათ, ბევრი ჩვენთაგანისათვის კარგად ნაცნობია, ქალბატონები: ნანი ბრეგვაძე, ქეთი დოლიძე, სოფიკო ჭიაურელი, ნინო ქვანია, ნანა ჯაფარიძე, ზეინაბ ანჯაფარიძე, მარიკა ცაგარელი, მანანა აბაზაძე, ნინო გიორგაძე, ნინა მესხიშვილი, ნინო თორაძე (იგი ამჟამად ლონდონშია და იქიდან ცდილობს დაეხმაროს თავის თანაკლუბელებს), მანანა გოგრიჭიანი, ნელი მანჯგალაძე, ლალი კილასონია, ბელა ორჯონიკიძე, თამრიკო ჩხიკვაძე, მაცაცო ერისთავი, მანანა პრუსეცკაია, მარინე ბერიძე, მაკა მიქაძე, რომელიც დღეს ნიუ-იორკშია და არ იშურებს ძალას და მონდომებას „მეტეხისათვის“. ასევეა კლუბის წევრი ირინე ნატროშვილი, რომელიც დროებით ვენაში გახლავთ.

ესენი ის ქალბატონები არიან, რომელთაც მთელი საკუთარი სულიერი თუ მატერიალური ძალისხმევა გაჭირვებაში მყოფი მოყვასისკენ აქვთ მიმართული, რათა ამ საყოველთაო სიმძიმილში რამდენიმე კონკრეტულ ადამიანს მაინც ეგრძნობინონ თავიანთი გულისა და ხელის სითბო; რომელთათვისაც ქველმოქმედება მხოლოდ ლამაზი სიტყვა კი არა, რეალური, ხელშესახები თანადგომა და დახმარებაა.

ნუ მოკლებოდეთ სიკეთის ძალა და ამ სიკეთით მადლიერი ადამიანები.

**რიტა ზაინჩურაშვილი**

# სექსუალიზმის განვითარების საფეხურები





ძველმა საზოგადოებებმა შექმნეს ნორმებისა და აკრძალვების სისტემები, რომლებიც არეგულირებდნენ პიროვნების, ოჯახის, საგვარეულოსა და საზოგადოების ცხოვრებას. სექსუალური ურთიერთობა მკაცრად კონტროლდებოდა, ვინაიდან მასში ხედავდნენ სიცოცხლის საწყისს, სახეობის უწყვეტობას. პირველყოფილი ხალხების სექსუალურ ცხოვრებას რელიგიური რწმენა და საზოგადოებრივი ნორმები განსაზღვრავდა. ბავშვების სიმრავლე სოციალური მდგომარეობის აუცილებელ პირობად ითვლებოდა და საგვარეულოს, ტომისა თუ წინაპრების წინაშე მოვალეობის მოხდას უდრიდა. ტომურმა საზოგადოებებმა შექმნეს დედაზე და ბავშვზე ზრუნვის სრულყოფილი სისტემა.

ოჯახური და სექსუალური ცხოვრების ორგანიზაციით ტომები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ.

მთელ რიგ საზოგადოებებში სქესობრივი ცხოვრება იკრძალება ახალშობილის ძუძუს წოვების პერიოდში. ეკვატორიალურ აფრიკაში ეს პერიოდი საშუალოდ ორ წელიწადს გრძელდება.

საყოველთაოდაა გავრცელებული სქესობრივი ცხოვრებისაგან თავის შეკავება მენსტრუაციის, ორსულობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდებში, მაგრამ მათი ხანგრძლივობა სხვადასხვა ტომში სხვადასხვაგვარია. ამანის ტომის ინდიელებში აკრძალულია სქესობრივი კავშირი ორსულობის დასაწყისიდან.

ნილოსის აუზში ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაცია წარმოიქმნა. ძველ ეგვიპტეში ოჯახი, როგორც წესი, იქმნებოდა მშობლების სურვილისა და არჩევანის მიხედვით. არისტოკრატიულ წრეებში ქორწინებები ხშირად ნათესავებს შორის ხდებოდა.

ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება ზღუდავდა მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას, რაც შესაძლებელია განპირობებული იყო ეკონომიკური თვალსაზრისით.

ებრაელთა ოჯახური და სექსუალური ცხოვრების საკითხები ფართოდაა წარმოდგენილი ბიბლიასა და თალმუდში. წინა პლანზე დგას ბავშვების განსაკუთრებული სიყვარული. ბავშვის დაბადება დიდი დღესასწაული იყო. ბავშვები განძად და წყალობად ითვლებოდნენ; ხოლო უნაყოფობას სირცხვილად და უდიდეს ცოდვად მიიჩნევდნენ. ნაკლებად უხაროდათ გოგონას დაბადება.

დედის რძით კვება ორ წლამდე რელიგიურ მოვალეობად ითვლებოდა. რელიგია ზრუნავდა ოჯახებზე, განსაზღვრავდა ჰიგიენის, აღზრდის, მშობლებთან დამოკიდებულების საკითხებს, სჯიდა ცოლქმრული ღალატის, ქალწულობის დაკარგვისა და სხვა შემთხვევებში. ოჯახი საზოგადოების ძირითად უჯრედს და მის იდეალს წარმოადგენდა. უცოლშვილო კაცს ნამდვილ მამაკაცად არ სცნობდნენ.

თალმუდის მითითებები სექსუალური ცხოვრების შესახებ საერთო ხასიათის საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. სქესობრივი კავშირის დამყარება ციკლის დაწყებიდან მე-12 დღეს, რიტუალური განბანვის შემდეგ მოწმობს განაყოფიერებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდის სწორ შეფასებას. რელიგია ჩასახვის საწინააღმდეგო ხელოვნურ მეთოდებს საყოველთაოდ კიცხავდა.

სექსუალური ცხოვრებისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ფილოსოფიურ სკოლას სხვადასხვანაირად ესმოდა. პლატონიზმი აცხადებდა მატერიაზე სულის პრიმატს, არისტოტელიზმის დევიზი იყო — სიცოცხლე ბუნების შესაბამისად, ეპიკურეიზმი ქადაგებდა იმით ტკბობას, რასაც გვანიჭებს მდიდარი ბუნება.

ეფესელი სორანოზი (II ს. ჩვ. წ. აღ-მდე) ჩამოთვლის იმ დროისათვის ცნობილ და საკმაოდ გავრცელებულ მეთოდებს და ხერხებს, რასაც იყენებდნენ ორსულობის ასაცილებლად: თავშეკავებას, სქესობრივი კავშირის შეწყვეტას, საშოს გამორეცხვას, მატყლის ჰესარიების, ტამპონების, სხვადასხვა ნაყოფის ნაზარშის გამოყენებას. ლეგენდაში კრიტოსის მეფის მინოსის შესახებ, პრეზერვატივის გამოყენებაცაა აღწერილი.

ძველ რომში სექსუალური ცხოვრების თავისუფლებამ არაჩვეულებრივი გაქანება ჰპოვა, ამიტომაც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ სამ საუკუნეში მკაცრად ილაშქრებდნენ იქაური ამორალობის, გარყვნილებისა და თავაშვებულობის წინააღმდეგ. თუკი რომის ცივილიზაციის დასაწყისში ადამიანები სიმკაცრის სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი, იმპერიის შემდგომმა აყვავებამ, სიმდიდრის მოზღვავებამ და ეროვნულმა მოზაიკამ შეასუსტა ეს სიმკაცრე. მათ გადაიღეს იდუმალი აღმოსავლეთის მისტიკა თავისი სექსუალური თავისუფლებით. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების რომის ლიტერატურაში აღინიშნება მამობრივი ძალაუფლების შესუსტება, ამასთან ქალები ისე ცხოვრობდნენ, როგორც საკუთარი ქმრის მეზობლები. საყოველთაოდ დაშვებული იყო ქორწინებამდე და ქორწინების გარეშე სექსუალური კავშირი, ხოლო

გაყრები და გარყვნილება უბედურებებად იქცა.

მეტად საინტერესოა ძველი ინდოეთის სექსუალური კულტურა და ნაყოფიერება. ინდოეთში ქორწინება ყოველთვის ურღვევი იყო იმ იშვიათი შემთხვევების გამოკლებით, როცა ერთ-ერთი მეუღლე აღმოჩნდებოდა ჭკუასუსტი, საჭურისი და ა. შ. დაქორწინებულნი ურთიერთდაკმაყოფილებისათვის ზრუნავდნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქორწინების ბედნიერებისა და სიმტკიცისათვის.

ინდოეთში ფიზიკურ სიყვარულს საპატიო ადგილს უთმობენ და ხშირად რელიგიური მოვალეობის მნიშვნელობას ანიჭებენ, მაგალითად, ძველი მითითებებით ქმარი მოვალეა სასიყვარულო კავშირი იქონიოს ცოლთან ყოველი მენსტრუაციის გასვლიდან მე-8 დღის გასრულებამდე. მეორე მხრივ, ინდოელების რელიგიური მითითებებით სავალდებულოა თავშეკავება სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით, წელიწადში 100 დღის განმავლობაში.

უდიდესი ტრაქტატი სიყვარულის შესახებ „კამასუტრა“ დაიწერა ჩვ. წ. აღ-ის I და IV საუკუნეებში. იგი იქმნებოდა რამდენიმე თაობის მიერ. „კამასუტრას“ საფუძველი შეადგინა ინდოელმა ვატსიანამ, რომელიც აფრთხილებდა: „ეს ნაწარმოები არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც დასაკმაყოფილებელი ინსტრუმენტი“. წიგნში მოცემული დარიგებანი ბედნიერი ცოლ-ქმრული ცხოვრების საფუძველს ქმნის:

„...ქორწინების შემდეგ პირველი სამი დღე ქმარმა და ცოლმა თავი უნდა შეიკავონ სასიყვარულო კავშირისაგან... შემდეგი შვიდი დღის განმავლობაში ისინი ერთად უნდა სადილობდნენ და სეირნობდნენ. მეათე დღეს, საღამოს ქმარი უნდა მიეალერსოს ცოლს, რათა მოიპოვოს ნდობა... გაუბას გულითადი საუბარი... ქმარმა კიდევ ცოტა ხანს უნდა შეიკავოს თავი სქესობრივი კავშირისაგან, სანამ თავისი შეყვარებულის კეთილგანწყობას არ მოიპოვებს, რადგან ქალწულები ბუნებით დელიკატურნი არიან და უყვართ, როცა მათ დელიკატური ხერხით ეუფლებიან. თუ ქალი მამაკაცისაგან უხეშ ძალადობას განიცდის, მან შეიძლება შეიზიზღოს სასიყვარულო კავშირი... ან გაუჩნდეს განსაკუთრებული მტრობა საკუთარი მეუღლისადმი“...

ქალიშვილისათვის ცოლ-ქმრული და სექსუალური ცხოვრების საიდუმლოებების ახსნა დედის ან უახლოესი ნათესავის მოვალეობა იყო.

მერაბ ნებიერიძე,
ექიმი-სექსოლოგი.



# ოცნება— სახელად „ბარბი“

ბარბის არსებობის შესახებ დიდი ხანია ვიცით უცხოური პრესის ფურცლებიდან, დღეს კი ბარბი თავისი მშვენიერი აქსესუარებით ჩვენი მაღაზიების სტუმარი და მრავალი ოჯახის განუყოფელი წევრი გახდა.

მაინც ვინ არის ბარბი? იგი შეიქმნა 1959 წელს, ამერიკელი მხატვარ-დიზაინერების რუთ და ელიოტ ჰენდლერების მიერ. თოჯინის პროტოტიპი გახლავთ ამერიკელი მსახიობი, კრის სტივენსი. ქერა თმები, დიდრონი ცისფერი თვალები, გრძელი ფეხები, ვიწრო წელი, მაცდუნებელი ღიმილი— ასეთია თოჯინა, რომელმაც მსოფლიოს ყველა გოგონას გული ააფორიაქა. ბარბის სიმაღლე დროდადრო იცვლებოდა, დღეს— 30 სანტიმეტრია. კომპანია „მატელი“, რომელიც თოჯინას აწარმოებს, მომავალი წლისთვის გვპირდება სიახლეს — მსოფლიო ბაზარზე გაჩნდება მეტრიანი ბარბი.

ბარბისთვის კაბებს ქმნიან მსოფლიოს საუკეთესო მოდელიორები. თავდაპირველად მისი გარდერობი მხოლოდ საღამოს კაბებით შემოიფარგლებოდა, დღეს კი მას აქვს სპორტული ტანსაცმელი, ავტომანქანა „ფერარი“, საკუთარი სახლი, ცხენი, ათასნაირი სამკაულები, თხილამურები, მოტოციკლი; მყავს როკ-ანსამბლი და ყველაფერ ამას აწარმოებს ამერიკული ფირმა „ზენეტონი“.

30 წელია, რაც ბარბის ცხოვრების უცვლელი თანამგზავრია ელეგანტური, ათლეტური აღნაგობის ჯენტლმენი კენ კარსონი. კენი „დაიბადა“ 1961 წელს. ეს თოჯინა შემკულია ყველა იმ თვისებებით, რაც მართლაც რომ შეშურდებოდა ნებისმიერ მამაკაცს.

ისრაელში გამოდის ჟურნალი „ბარბიტონი“, რომლის ავტორები თავად ბარბი და კენი არიან. ჟურნალში დაბეჭდილია ბარბის ინტერვიუები.

ბარბის გარდერობი და აქსესუარები საკმაოდ ძვირი ჯდება, თუმცა მოგებაც დიდი შემოაქვს. მაგალითად, 1990 წელს მსოფლიო ბაზარზე ბარბის რეალიზაციით მიღებულმა მოგებამ მადონასა და ჯექსონის წლიურ შემოსავალს გადააჭარბა.

1968 წელს შეიქმნა ბარბის შავკანიანი ორეული — კრისტი. მალე გაჩნდნენ ესპანელი, იაპონელი, გერმანელი ბარბები, თუმცა ქერა ბარბი კვლავ დედოფლის ამპლუაში რჩება. არის კიდევ ფეხმძიმე ბარბი. როგორც მისი შემქმნელები ადასტურებენ, მათი მიზანი იყო გოგონების მომზადება დედობისათვის. ფირმა მატელს“ კონკურენციის არ ეშინია, რადგანაც მისი ბარბი ყველაზე ორიგინალური და პოპულარული რჩება. ალბათ ამის დასტური იყო ის, რომ ამ ფირმამ მოიგო სასამართლო პროცესი ინგლისური ფირმის წინააღმდეგ, რომელიც აწარმოებს ბარბის ტყუპისცალივით მსგავს სინდის. „მატელმა“ დაადანაშაულა სინდის შემქმნელები ავტორისეული უფლებების დარღვევაში.

ეს „ამერიკული ოცნება“ მართლაც რომ შეუდარებელია, თუმცა ამავე დროს ბევრისთვის მიუწვდომელიც თავისი ფასის გამო.

მოსკოველმა დიზაინერებმა გადაწყვიტეს შექმნან ბარბის ორეული — ნატაშა. მასაც ქერა თმები, ცისფერი თვალები, გრძელი ფეხები და წვრილი წელი ექნება, სახეზე კი მზის სხივებისგან შეძენილი ჭორფლი დაამშვენებს. და რაც მთავარია, მისი ღირებულება 5-6 ჯერ ნაკლები იქნება, ვიდრე ბარბისა, და მაშინ ბავშვების ოცნება ნაწილობრივ მაინც რეალობად იქცევა.

თარგმნა თინათინ ჩხიკვაძემ.
„ეხო პლანეტი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელა გოჩიაშვილი



„რა გვითხრას მეტი ქალმა და თოვლმა"...
ვ. ხარჩილავა

## მოლადურების ჭირისუფალს

მორჩილი წყენით და საყვედურით
ნეტავ ვის ხსოვნას შეურხევს სიმებს
ქალის თვალებში ჩამდგარი დარდი,
გადაულებლად სველი და მძიმე.
ვის მოგონებას შეაკრთობს ლექსი,
სისხლნაკლული და სევდამრავალი,
ნოემბრის ღრმა და მქლერი სულიდან
ყვითელ ნისლებად ამომავალი.
ვდგავარ სურვილის ალეხილ ქიმთან
ტრფობის წინაშე უხმლოდ, უფაროდ,
და უნუგეშოდ მიყვარხარ ასე,
მოლალურების ჭირისუფალო.
შენ ყველაფერი გახსოვს და იცი,
რომ სიყვარული ასეთი უნდა,
რომ არასოდეს ამიცდენია
ბევრჯერ ნასროლი ბინძური გუნდა.
და არც ავიცდენ, რადგან სიყვარულს
მე სამკაულად არ ვიბნევ გულზე,
რაც უნდათ, ის თქვან, მე შენ მიყვარხარ,
და ფრთებდამსხვრეულ შგალობლებს ვუმზერ
ჩუმი იმედით, რომ ახლა სახლში
შენ დაგაკავებს სიკვდილი მხოლოდ,
იცი? — ფოთლების ბოლოს ქარია,
ნოემბერია ქარების ბოლოს...
იქ კი, სურვილის ალესილ ქიმთან,
ტრფობის წინაშე უხმლოდ, უფაროდ,
წუხს ჩემი ლანდი, დახრილი შენსკენ,
მოლალურების ჭირისუფალო.

## ვინ რას მივიტანთ...

რაც შეთხზულია უფლის წიაღში,
ვერ გავექცევით ვერასდიდებით;
მივდივართ...
ყველა საკუთარ ჩონჩხს და
საკუთარ ცრემლებს მივეზიდებით.
მივდივართ...
თუ რამ ყვაოდა ჩვენში.
ამ ხეტიალში უკვე გადახმა;
ვინ რას მოვიტანთ,
ვის რა მიგვყვება
მოლანდებული საზღვრის გადაღმა.
ვისაც გვიყვარდა და ცეცხლი გვერგო,
ვინც გზას და კოცონს შემოვრჩით ერთი,
მივიტანთ ნაცარს და დავასვენებთ
ჩაფიქრებული ღმერთების ფერხთით.
ვისაც ამგვარად არ ჰყვარებია,
უქმად ახელილ თვალებს დახრიან,
მივლენ და ყოფნის დიად საზღვარზე
აბალახებულ გულებს დაყრიან.
თავს რით ვიმართლებთ, შენდობის ღირსი
რა მიგვაქვს, ვის რა მოგვაგონდება...
ათასნაირი ისმის გოდება.
მივდივართ...
ქრება ნაფეხურები.
წალეკილია გზები ბინდებით;
მარტოობის და ტრფობის ეკლებზე
დაქენჭილ სულებს მივეზიდებით.

* * *

იქნება ვინმე კიდევ გეახლოთ
და კრძალვით გთხოვოთ სულშესაფარი,
იქნება ვინმე უკვე გზაშია,
იქნება ვინმე უკვე აქ არი,
იქნება უკვე იჩოქებს კართან
და შემოდგომის ყვავილებს ტოვებს,
იქნება უკვე ძალიან უჭირთ
თავშესაფარი ქალებს და თოვლებს.
ეკლებით უნდა მოჰფინოთ ზღურბლი,
თორემ მოვლენ და ხელს შეგიშლიან.
იქნება ვინმე უკვე კანკალებს,
იქნება ვინმე უკვე გიჟია...
ნუ გეფიქრებათ, რომ შემკრთალ სინდისს
ხვალ სინანული აახმიანებს,
ნუ გეშინიათ, უფრო თამამად
ატკინეთ გული ადამიანებს,
შეყვარებულებს და მარტოსულებს,
მარადიული სევდით ძლეულებს.
უფრო სასტიკად უნდა დასცინოთ
მარტოსულებს და შეყვარებულებს,
თორემ ადვილად ვერ დაარწმუნებთ,
ვისაც მარტოდენ ოცნება სურდა,
რომ მიწა მუდამ თავისას ითხოვს,
რომ ხორცის გავლით მიდიან სულთან.
სიმართლით უნდა მოჰფინოთ ზღურბლი,
თორემ ვიღაცა წკრიალებს კართან
და თქვენში ეძებს, ჯიუტად ეძებს
ყველაფერს, მკაცრი სიმართლის გარდა.
თქვენ შხამით უნდა მოჰფინოთ ზღურბლი,
თორემ ნუგეშის იმედით მოვლენ,
თქვენ კი ვერაფერს ვერ მიუხვდებით
სინაზით დაღლილ ქალებს და თოვლებს.
იქნება უკვე ძალიან უჭირთ
თოვლებს და ქალებს სულშესაფარი,
იქნება ვინმე უკვე გზაშია,
იქნება ვინმე უკვე აქ არი.
იქნება ვინმე კიდევ გეახლოთ...
დღეს კი დასრულდა, ეშვება ფარდა.
...და რა უაზრო იყო ყოველი,
დიდი, ლამაზი სიჩუმის გარდა.

## ცრემლი სამყაროს ლაწვზე

ბორენა ჯაჭვლიანს

ის მეტისმეტად ქალი იყო
და შეეხეტა სიყვარულში.
აბა, ვინ იტყვის,
რომ ეს დიდი შეცდომა იყო,
ან გზის აბნევა.
ის, უბრალოდ, ცაში ჩავარდა
და მიწაზე ჩაბობღება აღარ შეეძლო.
ქალი იყო
და თავის ჯვარს შეუდგა მხრები,
ქალი იყო
და თავისი ქვეყანა ნახა.
ჰგავდა წვიმას,
მართალია, საკუთარი თავით დაღლილს
და ფანჯარაზე თავმიდებულს,
მაგრამ მაინც ხომ წვიმას ჰგავდა,
და ქოლგები გაშალეს ირგვლივ...
ტიროდა მთვარისათვის.
არც საყვედური,
არც სხვა — წუწუნი.
დროდადრო სული ეწყობოდა
შვების ლექსებად,
მერე თვლემდა,
ძალას იკრებდა,
სანამ ტკივილი ისევ დაკბენდა, წამოაგდებდა
და ქვასავით მძიმე კალამს მისცემდა ხელში.
ვამბობდი ხოლმე:
ტკივილებს შორის დაამებავ,
ტკბილო, ნეტარო,
მაგ ქალს ცოტა ხნით გაუხანგრძლივდი,
რომ არ მობეზრდეთ მშვენიერ თვალებს
ასე დიდხანს,
ასე ნამდვილად,
ასე ხშირად და ბუნებრივად
ტირილი მთვარის მიმართულებით,
და არასოდეს გამოილიოს სამყაროს ლაწვზე
ცრემლი — ჰიმნი სიყვარულისა...
არა, არა,
რა შეცდომა,
რა გზის აბნევა,
ის ქალი იყო და, უბრალოდ,
სიყვარულში შეეხეტა.
იქ კი, როგორც მოგეხსენებათ,
სინათლეები არ არსებობს,
ხელისცეცებით უნდა იარო,
ბედნიერება კი არ არის,
სიყვარულია, —
საწუხარი და სამგლოვიარო.
ხანგრძლივი, მძიმე სიყვარულის შემდეგ
გარდაიცვალა...

## პროზა

**ალდო პალაცესკი (ნამდვილი გვარი ჯურლანი)** XX საუკუნის იტალიური ლიტერატურის კლასიკოსია. მას ეკუთვნის ევროპაში გახმაურებული რომანები: „ძმები კვეკოლები" და „დები მატერასები". ისინი ფსიქოლოგიური პროზის ნიმუშებია, ამის გამო მას „იტალიელ დოსტოევსკის" უწოდებენ. მისი წიგნად გამოცემული „ასი ნოველა" შეუნელებელი ინტერესით იკითხება. გთავაზობთ ერთ-ერთის თარგმანს.

# სიუჟეტური

**ადამიანს** იმაზე უარესი რა უნდა შეემთხვეს, რაც ჩვენს გმირს დაემართა. 60 წლისა შესრულდა და უცებ აღმოაჩინა, რომ ამ ქვეყნად ამაოდ უცხოვრია, უფრო მეტიც, არ უცხოვრია: ყველაფერი დაიკარგა, უიმედოდ გაქრა და ცხოვრებამ უსიხარულოდ, უსიყვარულოდ ჩაიარა.

მაგრამ ერთ დღეს თვალებიდან თითქოს ბისტი გადაეცალა, რაღაც ღვთაებრივმა ნაპერწკალმა გაანათა შიგნიდან მისი არსება და ირგვლივ ისეთი რამ შეამჩნია, რაც მანამდე არასოდეს შეუნიშნავს — სარკმლის წინ გიორგელას ვარდისფერყვავილებიანი რტოები ნიავზე ნაზად ირხეოდნენ და თითქოს საალერსოდ იწვევდნენ.

ჩვენს გმირს უცნაურობები ჯერ კიდევ შემორჩენოდა: აი, ყავის ფინჯანში შაქრის ნატეხის ნაცვლად საპონი ჩააგდო, ფინჯანი კი იმის მაგივრად რომ პირისკენ წაეღო, ღმერთმა იცის, საით გააქანა! თითები თვალში იტაკა, ნაცვლად იმისა, რომ ჟილეტის ჯიბეში ჩაეყო საათის ამოსაღებად და დროის გასაგებად. თვალი რომ ეტკინა, ზარს ეცა მსახური ქალის გამოსაძახებლად, რომელიც მაშინვე მოვარდა, ხსენებული სცენის დანახვაზე, შეშინებულმა ყვირილი მორთო: — მიშველეთ, ხალხო, ჩემი პატრონი ნამდვილად გაგიჟდაო!

მსახური ქალი ცდილობდა დაემშვიდებინა პატრონი და ბუტბუტებდა: — დაწყნარდი, ჩემო ბატონო, დაწყნარდიო. თავის მხრივ — პატრონიც შეშინებული მსახურის დამშვიდებას ცდილობდა და ისიც გაუგებრად, თავისთვის ჩურჩულებდა, თან ნელ-ნელა უახლოვდებოდა მსახურს, რომელსაც შემოსასვლელი კარი განგებ ღიად დაეტოვებინა და თანდათანობით კარისკენ უკან იხევდა იმის შიშით, რომ ოთახის ყრუ კედელსა და „გიჟს" შუა არ მოქცეულიყო.

— როზა, როზინა, ჩემო როზინა, — ალერსიანად ჩურჩულებდა პატრონი. ქალი კი, პატრონი რომ არ დაეფრთხო, მოფერებით ეუბნებოდა: — სინიორ სალვატორე!

როზა ოცი წელი ცხოვრობდა ამ სახლში და ზედმიწევნით იცოდა თავისი ბერბიჭად დარჩენილი პატრონის ხასიათი, მისი ნაკლი და ღირსება. თუმცა რა ღირსებაზეა ლაპარაკი, პირველივე დანახვაზე შეამჩნევდით, რომ იგი აუტანელი ზარმაცი იყო. როზას ყოველ დილას დიდი ენერგიის დახარჯვა უხდებოდა, რომ მისთვის საჭმლის ფული გამოერთმია. პატრონს ეს სიძუნწით კი არ მოსდიოდა, განძრევა ეზარებოდა.

მდიდარ მეპატრონეს სიზარმაცის გამო ხშირად თავისი შემოსავლის ნახევარი ეკარგებოდა, რადგან ტყეს ყოველთვის აჩეხინებდა... ერთი სიტყვით, სამგზის ზარმაცი იყო!

იმ დღეს, როცა თხრობა დავიწყეთ, ჩვენი გმირი ისე ლაპარაკობდა, როგორც არასდროს. ამდენი მშვენიერი სიტყვა არასოდეს წარმოუთქვამს, ასე გასინჯეთ, ხმაც კი შეცვლოდა, იგი ტკბილი, ალერსიანი გახდომოდა. მერე სხარტად წამოდგა საწოლიდან, მკლავები გაშალა, თითები გაავარჯიშა და საზეიმოდ წარმოსთქვა: „მე მიყვარს. მიყვარს, გესმის, როზინა? მერე თითქოს მთელი ენერგია ლაპარაკში დახარჯაო, ხელები უღონოდ ჩამოყარა და მისუსტებული მთელი სხეულით მიესვენა ფუმფულა ბალიშებზე, შემდეგ კი ნაზი ღიმილით, მორცხვად გაიმეორა: „მე მიყვარს“.

შემდეგ იგი საწოლიდან გადმოვიდა, როზას მხარზე ხელი ალერსიანად დაადო და თავის ალმოჩენაში დასარწმუნებლად სარკმლისკენ წაიყვანა. „ხედავ, ხედავ, როზინა, იმ ადამიანებს მოედანზე? აქამდე არასოდეს შემიხედავს მათთვის ამ თვალით, არასდროს მიფიქრია, კმაყოფილნი იყვნენ ცხოვრებით თუ იტანჯებოდნენ. მათ ისე გავურბოდი როგორც კეთროვნებს, ახლა კი სულ სხვანაირად ვხედავ. ზიზღი სიყვარულით შემეცვალა... ხედავ, ხედავ, როზინა, — მისი ხმა თანდათან უფრო ნაზი, ალერსიანი გახდა, — ხედავ, აგერ დედაა. დგას და გუნებაში ანგარიშობს — რაში რა დახარჯა. იცის, ვინ რას მოელის მისგან და ფიქრობს, როგორ გაუნაწილოს მათ ნავაჭრი ისე, რომ თითოეულს ასიამოვნოს. ამის ფიქრში ნახე, როგორ უნათდება სახე, როგორ უხარია. უცებ წამოიძახა: — მე მიყვარს ის ქალი, გესმის, როზინა, მე ის მიყვარს, — აღელვებული დაბეჯითებით იმეორებდა ამ ფრაზას, — უნდა ვუთხრათ მას, რომ მიყვარს, — უკვე ხმამაღლა ყვიროდა სალვატორე, — აბა, რა ფასი აქვს ისეთ სიყვარულს, იმას თუ არ ეცოდინება?

საცოდავ როზას ესმოდა საკუთარი ძვლების ჭახა-ჭუხი, ამ სიტყვების წარმოთქმისას კაცი მთელი ძალით უჭერდა ხელს მხრებზე. ქალი კი — ღმერთს ევედრებოდა: „მოწყალეო ღმერთო, დროზე მიშველე, თორემ ეს გიჟი მთლად დამამტვრევს“.

— არა, უნდა გაიგოს იმ ქალმა, გესმის? — ახლა უკვე ოთახში ტრიალებდა აღელვებული, თან ჟესტიკულაციით ლაპარაკობდა.

— როზა, როზინა, წადი, ჩქარა წადი, ახლავე გაიქეცი იმ ქალთან, სანამ ტრამვაიში არ ასულა. გაიქეცი და ასე უთხარი, მოიცა, უთხარი მხოლოდ... მგონი, ასე საკმარისი იქნება, „შენ ჩემს პატრონს უყვარხართქო“.

„ღმერთო, დროზე გვიშველე, თორემ მერე ძალიან გვიან იქნება მისთვისაც და ჩემთვისაც“, — ფიქრობდა როზა და თან აჩქარებით იცვამდა. მერე გარეთ გამოვარდა, დაბნეული და თანაც გახარებული, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება გაგიჟებული პატრონისგან თავი დაეღწია, მაგრამ უცებ დაავიწყდა, სად წასულიყო და რა უნდა გაეკეთებინა. ამიტომ მელიფტე ქალთან შევარდა და სხაპასხუპით უამბო, რაც მის პატრონს შეემთხვა. მელიფტემ ურჩია პატრონს ყველაფერზე დათანხმებოდა, რადგან გიჟებს ყოველთვის „დიახ“-ს ეუბნებიან, უფრო რომ არ გააღიზიანონ. შემდეგ ორივენი ერთად გამოვიდნენ ქალის სანახავად, მაგრამ... ტრამვაის უკვე ჩაევლო და ქალი წასულიყო.

სახლში რომ დაბრუნდა, პატრონი მწარე ღიმილით და ზიზღით მიაშტერდა ქალს თვალებში. როზას კიბეზე გამავალი კარი ოდნავ ღია დაეტოვებინა, სადაც მელიფტე ქალი დამალულიყო მისაშველებლად.

— ეხ, ეხ, ასე ხომ!... ნამდვილი ურჩხული ხარ, შხამიანი გველი, შე, ბოთე, შენა...

— მაპატიე... მაპატიე... გთხოვ მაპატიო... იქ რომ მივედი დანაბარების სათქმელად, ქალი აღარ დამხვდა...

სალვატორე მიხვდა, რომ სიყვარულის გზა ეკლიანი იქნებოდა, უნდა გადაელახა ყოველგვარი ბოროტება, გულგრილობა, ეგოიზმი, მზად იყო ებრძოლა, დაეძლია წინააღმდეგობა.

იმ დღის შემდეგ ვარდისფერ ოცნებებში გახვეული სალვატორე ძირ-



# ჩხუბა მა

## რა კარგი იყავ მაშინ...

იცით თუ არა, რომ ქალიშვილს გათხოვების შემდეგ ხმა მკაცრი და მბრძანებლური უხდება!

მეცნიერთა აზრით ეს მეტამორფოზა ოჯახზე ზრუნვის შემდეგაა. ქორწინების შემდეგ მანდილოსანს ავტომატურად უხდება ხმის ამაღლება, მეუღლემ ყურადღება რომ მიაქციოს. ბავშვის გაჩენის შემდეგ კიდევ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს თავისი ძალაუფლების დასამტკიცებლად.

ნუ აჩქარდებით და სანამ მეუღლეზე ან რძალზე დანანებით იტყოდეთ — რა წყნარი, მოკრძალებული იყო გათხოვებამდე და თურმე როგორი ყოფილა სინამდვილეში, — დაფიქრდით, ჯერ შეცვლის მიზეზი გამოარკვიეთ. იქნებ თქვენი ბრალიცაა ხათნო გოგონას გაკაპასება.

მამაკაცები იმასაც ამტკიცებენ, რომ ქალი კაცზე გაცილებით მეტს ლაპარაკობს. გერმანელი მეცნიერები დაინტერესდნენ ამ შეხედულებით და გამოკვლევების შედეგად დაასკვნეს, რომ ტვინის ე. წ. „მეტყველების ცენტრი“ ქალებს გაცილებით დიდი აქვთ, რაც იმით ახსნეს, რომ ქალებს უფრო დიდხანს უწევთ ბავშვებთან ყოფნა და მათ გაუთავებელ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ასე რომ, ჭორიკანობა აქ არაფერ შუაშია.



ფესვიანად შეიცვალა — სახე გაუნათდა, რაღაც შინაგანი, იდუმალი სხივი უშუქებდა სულს. ამასთან, ძალზე ზრდილობიანი და გულმოწყალე გახდა. თავაზიანად აძლევდა როზას დავალებებს. როზა ცდილობდა ყველაფერი პირნათლად შეესრულებინა, ხშირად ბევრი უსიამოვნება და დაბრკოლება ხვდებოდა, რასაც პატრონს უმალავდა და შინ დაბრუნებული შელამაზებულად უყვებოდა შედეგებს.

გამვლელთაგან ბევრი მშრალად ხვდებოდა გამჟღავნებულ სიყვარულს, ხშირად უარს ამბობდნენ როზინას საჩუქარზე, ზოგიც — თავიდან იშორებდა უკმეხად, ზოგიც — სულ არ უჩერდებოდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ქალს გაუთავებელ დისკუსიას უმართავდნენ, დატაკები კი ცხოვრების ათასნაირ ტვირთისაგან დამძიმებულ მხრებს იჩეჩავდნენ და გზას უსიტყვოდ აგრძელებდნენ.

ერთ დღეს ჩვენმა გმირმა თავისი ოთახის სარკმლიდან მოედნის ცენტრში გიგანტური აღნაგობის პოლიციელი დაინახა, რომელიც მოძრაობას არეგულირებდა, — აი, კაცი, რომელიც არავის უყვარს, რადგან იგი წესრიგს მოითხოვს, წესრიგი კი ადამიანებს სძულთ. ამიტომ ისიც ეჯავრებათ. აი, მე კი — მიყვარს. ჰო, მიყვარს სხვებზე მეტად, იმიტომ, რომ ის ცოტას უყვარს. მაგრამ მან ხომ ეს არ იცის... არც ფიქრობს... ვერც დაიჯერებს... როზა, როზინა, ძვირფასო, მშვენიერო როზინა, ჩემო კარგო, გაიქეცი, როზინა... ჩქარა წადი!

ამჯერად როზას ძალზე ძნელი დავალება ჰქონდა, აქამდე ქალს მხოლოდ გამვლელ მოქალაქეთა გაჩერება უხდებოდა, მათთან როზა ავად თუ კარგად რაღაცას ახერხებდა, მაგრამ პოლიციის წარმომადგენელთან მისვლა საჩოთირო გახლდათ! ჯერ პირი არც გაეღო თავისი პატრონის დანაბარების სათქმელად, რომ მოძრაობის მარეგულირებელმა არ აცალა.

— მისმინე, ქალბატონო, სიყვარულობანას თამაში დამთავრებულია. თან თვალები დაჟინებით ჩააშტერა ქალს, — თქვენი პატრონი მანიაკია, მაგისთანებისთვის კი არსებობს საგიჟეთი. არიან ჯანღონიანი სანიტრები, რომლებიც იქ წაიყვანენ და უმკურნალებენ. შევთანხმდით? ამ სიტყვებზე მან კვერთხი ზევით აიქნია.

— დიახ, სინიორ... მაპატიე... სინიორ... მაგრამ მე რა ვქნა?... თქვენ ალბათ გამიგებთ...

— გამვლელები თავმობეზრებულები არიან თქვენი სიყვარულით, გირჩევთ ამიერიდან ის მთლიანად თქვენთვის დაიტოვოთ... გაფრთხილებთ, დღეიდან თუ კიდევ დაგინახავთ ქუჩაში თქვენი ახირებული მისიით, ორივეს მიგაბრძანებთ, სადაც ჯერ არს.

ამჯერად როზამ ვერ შეძლო რაიმე შეელამაზებინა და რაც უთხრეს, ყველაფერი დაუფარავად გადმოულაგა პატრონს. წუთით მოეშვა სალვატორე, მიხვდა, რომ ადამიანებს არ სჭირდებოდათ მისი სიყვარული.

როზა კი იდგა პატრონის წინ და ფიქრობდა, რომ აგერ-აგერ იგი გონს მოეგებოდა, შეიცნობდა თავის ახირების მცდარობას და ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა.

პატრონი გულდასმით ათვალიერებდა მის წინ მდგომ ქალს, ისე, თითქოს მას პირველად ხედავდა. კაცის დაჟინებული მზერისგან როზა უხერხულად იმშუშნებოდა და მშაფრი ღელვა იპყრობდა, კაცის თვალებში აზრმა გაიელვა...

„ღმერთო, განა ეს შესაძლებელია? თუმცა, რატომაც არა?" ალბათ უკეთეს ტანსაცმელში ბევრად უფრო მოხდენილი გამოჩნდებოდა, თუმცა თავის 50 წელთან შედარებით როზა უცოდველ გოგონასავით გამოიყურებოდა.

პატრონის მზერა კიდევ უფრო ანთებული, მსუსხავი ხდებოდა.

„ნეტავი გამაგებინა, რა აქვს ახლა თავში"? ქალს სახეს სიმორცხვე უფარავდა, გუნებაში კი უნებურად თავის საქმეებს აგვარებდა: — ერთი დამანახა მერე ჩვენი მელიფტე ქალი, ახლა რომ თავს არ მიყადრებს, როგორ შემხვდება თანასწორივით რომ დაველაპარაკები და ჩავივლი სახლის წინ? ქალს ფიქრები ღრუბლებივით ეხვეოდა... მართლაცდა, მეც შეღავათი მექნება... თვის ბოლოს ჯამაგირს აღარ მოვთხოვ... აღარ დამჭირდება კიბეებზე აღმა-დაღმა სირბილი, არც კვლავ ვინმესთან გაქცევა...

კაცი ქალს მიუახლოვდა, შემდეგ მოუხერხებლად შემოხვია წელზე აკანკალებული ხელები და თვალდახუჭულმა, თავის სიცოცხლეში პირველად, მორცხვად წარმოთქვა:

— როზა, თურმე შენ მიყვარხარ, სხვა არავინ...

მთხოვე, რომ შენი ცოლი გავხდე და ჩემგანაც იგივეს მოისმენ, — ფიქრობდა ქალი, ოღონდ ხმა არ ამოუღია.

კაცი კი ამ დროს კვლავ იმეორებდა.

— მე შენ მიყვარხარ!

იტალიურიდან თარგმნა
ზაირა ხტუჩუაშ



# მამაკაცებს

## აკოცეთ საყვარელ ქალს და...

ოჯახის ბურჯი რომ ქალია, ამაზე ალბათ არ შეგვეკამათებით, ძვირფასო მამაკაცებო. იმაზეც დაგვეთანხმებით, რომ ქალს შეუძლია დააშენოს ან დაანგრიოს ოჯახი. უფრო მეტიც, მან უნდა აღუზარდოს ქვეყანას ჯანსაღი, ზრდილი მომავალი თაობა. და თუ მაინც ვინმეს არ სჯერა ჩვენი ნათქვამის, შევეცდებით დაგიმტკიცოთ.

ვინ, თუ არა ქალი, უფრთხილდება ოჯახს და პასუხს აგებს მის სიმყუდროვეზე, [illegible]. ის ტონიც კი, რომელზეც საუბრობენ ოჯახის წევრები, დიასახლისისაგან მომდინარეობს. სწორედ ქალი აყალიბებს ოჯახის კანონებს, მამაკაცი ასრულებს და იცავს მათ.

ქალი მართავს ოჯახის ეკონომიკას. დიდი ერთ კაპიკსაც არ დახარჯავს უმიზნოდ, შვილს რომ არ მოაკლდეს. ქართველი ქალის უმეტესობას (კაცებზე შეგნებულად აღარაფერს ვამბობთ) დიასახლისობა ურჩევნია მუშაობას. თუმცა ეს ტენდენცია თანდათანობით იცვლება. ახლა მანდილოსნები უმეტეს დროს სამსახურში ატარებენ, ოჯახში კი ძველებური ქალები (სხვაგვარად ვერ ვუწოდებთ) რჩებიან, რომელთა აზრით, მართალია, მათი შემოსავალი ოჯახს წაადგებოდა, მაგრამ მაშინ შვილები და მეუღლე სათანადოდ მოვლილი არ ეყოლებოდათ.

ქალის [illegible] შინაგანი ძალით აღფრთოვანებულ ბალზაკს უთქვამს: ვისაც ქალის „მართვა" შეუძლია, იგი სახელმწიფოს მართვასაც შეძლებსო.

ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა კლიუჩევსკიმ დაასკვნა (ალბათ საკუთარი გამოცდილებით): როცა მამაკაცი რაიმე საქმეზე მიდის, აუცილებლად გააკეთებს, თუ წასვლის წინ საყვარელ ქალს აკოცებსო.

ჩვენ თუ არ გჯერათ, მაშინ პატარა ექსპერიმენტის ჩატარება მოგიწევთ: სამსახურში ან რაიმე საქმეზე წასვლის წინ აკოცეთ თქვენს რჩეულს. გვერწმუნეთ, არ ინანებთ. ის საქმე თუ მაინც არ გამოგივიდათ, მეუღლის ამბორით გამოწვეული სიამოვნება მთელ დღეს გაგყვებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...ბედი შენი

# ქორწინება იტალიურად







Სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო, — ქართველი კაცის ნათქვამი სიტყვა-სიტყვით აუხდა იტალიელ ვაჟკაცს დიონისე კარბონის.

საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსული ხელოვნების მუზეუმს ეწვია. სტუმარს მეგზურობა იტალიური ენის მცოდნე ახალგაზრდა თანამშრომელმა მაია ფეიქრიშვილმა გაუწია.

ქალიშვილი, რომელსაც ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის შემდეგ იტალიური ენის კურსები ჰქონდა დამთავრებული, იტალიელთან გასაუბრების შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებდა!

იტალიელ ტურისტთა ჯგუფი მარტვილში გაემგზავრა და ამ მოგზაურობაშიც მათ გიდობას მაიკო უწევდა.

და აი, თბილისელი ექიმის ქალბატონ ნელი ჭარაქაშვილის ბინაში გაისმა პირველი სატელეფონო ზარი იტალიიდან. მის ქალიშვილს უხმობდნენ.

სამ წელიწადს გაგრძელდა „სატელეფონო რომანი“.

გასულ წელს მაია იტალიაში გაემგზავრა და იქიდან დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ დიონისე კარბონის ცოლი გახდებოდა და იტალიაში, სარდინიის კუნძულზე, ქალაქ ასემინში იცხოვრებდა.

მაიას დედამ ქალბატონმა ნელიმ, რომელსაც ადრეც ვიცნობდი, როგორც ჩინებულ ექიმს და შესანიშნავ ადამიანს, მიამბო: „ძნელი იყო ჩემთვის ამ გადაწყვეტილებაზე დათანხმება, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ ნამდვილ გრძნობასთან მქონდა საქმე. როგორ შემეძლო შვილის ბედნიერებას წინ აღვდგომოდი?..

ქორწილში მე, ჩემი და და ვაჟიშვილი გავემგზავრეთ. ვღელავდით, მაგრამ ისეთი სითბო და ყურადღება ვიგრძენით სიძისა და მისი ახლობლებისაგან, თავი საქართველოში გვეგონა. ჯვარი ეკლესიაში დაიწერეს. ქორწილში სამასი კაცი იყო. ახალგაზრდებმა რომის პაპის კურთხევის სიგელი მიიღეს. ქორწილის შემდეგ ახალდაქორწინებულები რომში გაემგზავრნენ საქორწინო მოგზაურობაში.

სიძის გავლენით მისი ახალგაზრდა მეგობრები და ნათესავებიც „დედას“ შემახდნენ.

ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, რომ დიონისემ ჩემს ქალიშვილს უთხრა: აბა, მოვიფიქროთ, რისი გაკეთება შეგვიძლია საქართველოსთვისო, მართლაც, რომში უკვე თერთმეტი ქართველი მოძებნეს და ფიქრობენ ქართული ცენტრის გახსნას, საქველმოქმედო მუშაობის წამოწყებას.

მაიას გადაწყვეტილი აქვს იქაურ უნივერსიტეტში ისწავლოს (ჩვენს დიპლომს იქ ძალა არა აქვს). ახლა კი მძღოლთა კურსებზე დადის. იტალიაში, როგორც წესი, ცოლსა და ქმარს ცალ-ცალკე ჰყავთ მანქანა და მართვის არცოდნაც, ცხადია, წარმოუდგენელია“.

ჩვენ გაგვაზარა მაიას შემონათვალმა:

თუ თქვენი სურვილი იქნება, შემოქმედებით ურთიერთობას დავამყარებ აქაურ ქალთა ჟურნალთან „დონა“ და საერთოდაც თქვენი საკუთარი შტატგარეშე კორესპონდენტი ვიქნები იტალიაში, იქნებ საქართველოს ნოსტალგია ამით ცოტათი მაინც შევიმსუბუქო.

მაიკოს ვუსურვებთ სიყვარულის მზეგრძელობას, ბედნიერ დედობას და საქართველოსათვის ნაყოფიერ ღვწას, რაც, თუ გული გულობს, სამშობლოდან მოშორებითაც ისევე შეიძლება, როგორც აქ, საქართველოში.

**ნარგიზა მგელაძე**

# სახარება ყმაწვილთათვის



## პურების გამრავლება

ერთხელ გალილეის ტბის ნაპირზე განსაკუთრებით დიდძალი ხალხი შეიკრიბა. მოწაფეებმა იესოს უთხრეს: „მოძღვარო, უკვე გვიანაა. გაუშვი ისინი, რომ სოფლებში მივიდნენ და პური იყიდონ“. ქრისტემ უპასუხა: „დააპურეთ ისინი თქვენ“. ამაზე ერთმა მოწაფემ უთხრა: „უფალო, აქ დიდკაცს ხუთი ქერის პური და ორი თევზი აქვს, მაგრამ რას წარმოადგენს ეს ამდენი ხალხისათვის“

ქრისტემ უბრძანა, პური და თევზი მისთვის მიეტანათ, თვითონ კი ლოცვა დაიწყო. როდესაც პური და თევზი მოუტანეს, ქრისტემ აკურთხა ისინი, დატეხა და მოწაფეებს მისცა, მათ კი ხალხს დაურიგეს. ხალხი ხუთი ათასზე მეტი იყო. პური და თევზი არილეოდა მოწაფეების ხელში. ყველას ეყო და ყველა დანაყრდა. როდესაც ნარჩენები შეაგროვეს, თორმეტ გოდორზე მეტი გამოვიდა.

## მაცხოვარი წყლის ზედაპირზე დადის

ხალხის სასწაულებრივად დაპურების შემდეგ იესო ქრისტემ უდაბნოს მიაშურა, რათა განმარტოებით ელოცა, ხოლო მოწაფეებს უბრძანა, ნავით წასულიყვნენ ქალაქ კაპერნაუმს. მოწაფეებიანი ნავი ძნელად მიიწევდა წინ, რადგან ძლიერი პირქარი ქროდა. ღამე უკვე იცრიტებოდა, მაგრამ ნავს ნახევარი გზაც კი არ ჰქონდა გავლილი, ქარი სულ უფრო ძლიერდებოდა, ღელვა მატულობდა, მოწაფეები ქანცის გამოცლამდე უსვამდნენ ნიჩბებს. ქარი გრიგალში გადაიზარდა. ყველა უცილობელ დაღუპვას ელოდა. უცებ ნათელი შეამჩნიეს წყლის ზედაპირზე. ვიღაცა მოდიოდა მათკენ ტალღებზე ისე მოაბიჯებდა, როგორც ხმელეთზე. თეთრ ტანთსაცმელს ქარი უფრიალებდა. მოწაფეებს თავზარი დაეცათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მოჩვენებას ხედავდნენ და მათი სიცოცხლის ბოლო წამი იყო დამდგარი. უცებ მათ ყურებამდე ქრისტეს ხმამ მიაღწია: „ნუ გეშინიათ, ეს მე ვარ!“ მაშინვე იოუარათ შიშმა.

სიმონ-პეტრემ, მოძღვარი რომ დაინახა, შესძახა: „უფალო! მიბრძანე, რომ შენთან მოვიდე!“ ქრისტემ უპასუხა: „მოდი“. პეტრე მოციქულმა ნავის კიდეს გადააბიჯა და ტალღებს გაუყვა, მაგრამ ცოტა რომ გაიარა, უკან მოიხედა, ირგვლივ წყვდიადი დაინახა, ფეხქვეშ მძვინვარე ტალღები, შეშინდა და ჩაძირვა დაიწყო. სასოწარკვეთილმა დაიყვირა: „უფალო! მიშველე! ვიღუპები!“ ქრისტე მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა და ნავში ასვლა უშველა, მერე კი მორიდებით უსაყვედურა: „მცირედმორწმუნევ, რატომ შეეჭვდი?“ ქარი ჩადგა, ნავმა ნაპირს უწია. ნახულმა ისე გაოაცვიფრა ქრისტეს მოწაფეები, რომ მოწიწებით მოიყარეს მუხლი მის წინაშე და შესძახეს: „უფალო! ჭეშმარიტად ღმერთის შვილი ხარ შენ!“

## ზარი



# პარმაღთან „შავი ჭირი“ დგას, გ ა ფ რ თ ხ ი ლ დ ი თ!

შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი — შიდსი მრისხანე ინფექციური სნეულებაა. მას „XX საუკუნის შავ ჭირს“ უწოდებენ. იგი შედარებით ახალი დაავადებაა, მაგრამ მსოფლიო პრობლემად იქცა. შიდსს მეტად ვირულენტური (შხამიანი) ვირუსი იწვევს, რომელიც სწრაფად ვრცელდება, ხანგრძლივი, მძიმე მიმდინარეობა აქვს და ავადმყოფთა ორი მესამედი იღუპება. შიდსი, ისე როგორც ათაშანგი (სიფილისი), სექსის თანამგზავრია და სექსუალური რევოლუციის (რომელიც სხვა განვითარებულ ქვეყნებში შენიღბულია „პიროვნების თავისუფლებით“), სექსუალური აღვირახსნილობისა და სქესობრივი გაუკუღმართების სამწუხარო ნაყოფია. შიდსი ყოფაქცევის დაავადებაა და ამიტომ მისი გავრცელება საზოგადოების ზნე-ჩვეულების მაჩვენებელიცაა. მისი გამომწვევი ვირუსი სისხლში ბუდობს, როგორც ლეიკემიისა (თეთრსისხლიანობის) და განუკურნებელია, როგორც კიბო.

ვენერიული დაავადებების მსგავსად შიდსის ვირუსის გავრცელების ჩვეულებრივი გზა სქესობრივი კონტაქტია, გავრცელების მიზეზთაგან მეორე ადგილზეა ვირუსით ინფიცირებულ დონორთა სისხლი და მისგან დამზადებული პრეპარატები. ინფექცია ასევე ვრცელდება სისხლით გაჭუჭყიანებული, არასტერილური შპრიცებით, რეფლექსოთერაპიის ნემსებით, ქირურგიული და სტომატოლოგიური, მანიკურის, პედიკურის ხელსაწყოებით და სხვა.

შიდსით დაავადებული დედისაგან ვირუსი ნაყოფზე გადადის.

დადგენილია, რომ შიდსი ჰაეროვან-წვეთოვანი გზით, ჭურჭლით, ხელის ჩამორთმევით და ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონტაქტით, კანისა და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დაურღვევლად არ გადადის, მაგრამ ინფიცირებისათვის მათი სრულიად უმნიშვნელო მიკროტრავმაც კი საკმარისია. ბოლო წლებში შეიცვალა დაავადების გავრცელების გზები. მამაკაცები და ქალები ჰომო, ბი და ჰეტეროსექსუალისტები თითქმის ერთნაირი სიხშირით ავადდებიან. ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერის მონაცემებით, მხოლოდ ნიუ-იორკში 4000 ავადმყოფი შიდსის ვირუსით ინფიცირებული აღმოჩნდა სტომატოლოგიური პროცედურის შედეგად, მათ შორის პაციენტებისაგან დაავადებული სტომატოლოგებიც იყვნენ, რომლებსაც პროცედურის დროს ხელებზე კანი დაუზიანდათ.

დაავადების გავრცელებაში განსაკუთრებული ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა აქვს ვირუსით ინფიცირებულ პირებს ანუ ვირუსმატარებლებს, რომლებსაც დაავადების არა-

# საით

## სიღატაკე—ჩვენი საწუხარი



**შიმშილი** კარზე გვიკაკუნებს, ეს სიკვდილის მოახლოებას ნიშნავს. იზრდება შიში და უიმედობა, მწუხარე სტატისტიკით გამოწვეული: ამბობენ, ყოველდღიურად თბილისში შიმშილით რამდენიმე კაცი კვდება.

შიმშილის ზღვარზე მისულები გამოდიან ქუჩებში, მიწისქვეშა გასასვლელებთან, ეკლესიებთან. მაღაზიებთან, იქ, სადაც ხალხმრავლობაა, ვინძლო ვინმემ ან პური მოუტეხოს ან მალადაკარგული ფული ჩაუდოს.

„შემეწიეთ, ღმერთი შეგეწევათ“, — ჩამესმა სიონის ტაძარში ქალისაგან, რომელიც გვერდით ამომიდგა და აკანკალებული ხელით სანთელს მოუკიდა. მეგონა, ღმერთს რაღაცას შესთხოვდა, მაგრამ სახეში რომ მომაჩერდა, დავიბენი: ჩემს წინ ინტელიგენტი იდგა.

— არსაიდან ფული არ შემომდის. სამოწყალო პენსიასაც თვეობით არ მაძლევენ. ხომ არ მოვიპარავ, ან ვინმეს ხომ არ წავართმევ ძალით?

დამნაშავესავით შევკრთი, ფული მორიდებით ჩავუდე ჯიბეში, დიდი მადლობა გადამიხადა, პირჯვარი გადაიწერა და გარეთ გამომყვა.

მთელი ცხოვრება პედაგოგად იმუშავა და ახლა ქუჩაში ხელის გაწვდენისა სცხვენია, ნამოწაფრებმა რომ დაინახონ... სიონში მოდის. აქ სიმშვიდეს გრძნობს. და თუ კეთილ სახეს დაინახავს, ჩუმად ჩაულაპარაკებს, რომ განიკითხონ.

რაც მას ბავშვები დაუზრდია, ყველამ თითო მანეთი რომ მისცეს, მდიდარი იქნება. მის ხვალინდელ დღეზე ვფიქრობდი: ავად რომ გახდეს და ქუჩაში ვერ გამოვიდეს, რა ელის მაშინ...

...ასეთები ბევრნი არიან. მათ საღი გონება და თავმოყვარეობა შემორჩათ, უფულობას და უჭმელობას კი დაუბერავებია. ზოგს ნივთი გამოუტანია გასაყიდად, ზოგს სახე ჩაუმალავს საყელოში და ცარიელ ჯამს ჩაშტერებია.

ისიც ვნახე, როგორ გააჩერა ქუჩაში ქალიშვილმა უცნობი ვაჟი და თხოვა პური მოეტეხა; სუფთად ჩაცმულმა მოხუცმა კაცმა პურის გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარი მოვლენები არა აქვთ, მაგრამ ინფექციის გავრცელების პოტენციურ წყაროს წარმოადგენენ. ამდენად, დაავადების საშიშროება ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანას და ყოველ ადამიანს მოელის. შეუმჩნევლად შემოპარული შიდსის ვირუსი საქართველოში ფარულად 1983 წლიდან ცირკულირებს. მოსახლეობას კი მიაჩნია, რომ ეს ვერაგი სენი ჩვენამდე ვერ მოაღწევს. სამწუხაროდ, თითქმის 10 წელია მოაღწია და უკვე 16 ავადმყოფი გამოვლინდა, რომელთაგანაც ყველაზე საგანგაშოა თბილისში აღრიცხული ბოლო სამი შემთხვევა. კერძოდ, ახალგაზრდამ (რომელმაც თავისი ინფიცირების შესახებ არ იცოდა) სისხლი მისცა მძიმე ავადმყოფ ნათესავს. ამ უკანასკნელს კი მალე შიდსის მოვლენები განუვითარდა. ინფექციის წყაროს გამოვლინების მიზნით ჩატარებული კვლევებით ეს ახალგაზრდა (რომლის სისხლიც ავადმყოფს გადაუსხეს, ვირუსმატარებელი აღმოჩნდა. დაავადება მის მეუღლესაც დაუდასტურდა.

შიდსის ვირუსი ადამიანის იმუნურ და ნერვულ სისტემას აზიანებს, არღვევს და ანადგურებს ორგანიზმის დამცველ ძალებს ანუ იმუნიტეტს, რის გამოც კარგავს ყოველგვარი ინფექციისაგან თავდაცვის უნარს და უძლურდება. ავადმყოფს აწუხებს საერთო სისუსტე, გულისრევა, ღამის ოფლიანობა, მაღალი ხანგრძლივი ტემპერატურა შემცივნებებით, ხველით, ფილტვების ორმხრივი ანთება მძიმე მიმდინარეობით, ქრონიკული ფაღარათი მუცლის ტკივილით. ავადმყოფი წონაში სწრაფად იკლებს, ვითარდება ანემია. დიდდება ლიმფური კვანძები, კანზე ჩნდება სისხლჩაქცევები და კვანძები ქავილით.

დღეისათვის მსოფლიოში არ არსებობს შიდსის საწინააღმდეგო ეფექტური რადიკალური სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალება.

დაავადების პროფილაქტიკაში (ერთჯერადი სამედიცინო ხელსაწყოების პრაქტიკაში დანერგვის პარალელურად) დიდი მნიშვნელობა აქვს დონორების, ჰომოსექსუალისტების, ნარკომანების, ამორალური ქცევის პირების (რომლებსაც შემთხვევითი ინტიმური კონტაქტი ჰქონდათ), და იმ მოქალაქეების შიდსზე პროფილაქტიკურ გასინჯვებს, რომლებსაც უცხოეთში ხშირი მოგზაურობა უხდებათ. ამ მიზნით თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში გახსნილია შიდსზე გამოკვლევის ანონიმური კაბინეტები მოქალაქეთა საიდუმლოების სრული დაცვით. ზემოაღნიშნული რისკის ჯგუფის პირებმა დროულად უნდა მიმართონ კაბინეტებს.

არაერთგვაროვანია შეხედულება კონდომებით სარგებლობაზე იმის გამო, რომ ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევებით მათში გამოვლინდა თვალით შეუმჩნეველი მიკროხვრელები, რომლებშიც 30-50 ვირუსი გადის და ამგვარად, ისინი 100-პროცენტიან დაცვას ვერ უზრუნველყოფენ.

როგორც ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერი წერს, „თუ არ იქნებით ნარკომანი ან ჰომოსექსუალისტი და არ ეწევით აღვირახსნილ სქესობრივ ცხოვრებას, ასპროცენტიან გარანტიას გაძლევთ, რომ შიდსით არ დაავადდებით". სრული გარანტიის მიზნით კი მე ერთ სავალდებულო პირობასაც დავამატებდი. იმის გამო, რომ რესპუბლიკაში უკვე ცირკულირებს შიდსის გამომწვევი ვირუსი, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალი მაქსიმალური პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს სხვადასხვა პროცედურებისათვის საჭირო ხელსაწყოების გაუვნებლობასა და სისხლის გადასხმამდე დონორის სავალდებულო შემოწმების საქმეს.

**ლუბა შეჭირული,**
პროფესორი.



# მივდივართ?..

ყიდველს საცაა წავიქცევიო და პური უფულოდ გამოართვა; ხორცის გამყიდველთან სიმპატიური ქალი ძვლებს აგროვებდა და ჩანთაში იწყობდა...

და მახსენდება ჩვენს პარლამენტში ერთ-ერთი დეპუტატის გამოსვლა: იქნებ მოვახერხოთ და ნორმირებული პური ხალხს უფასოდ მივცეთო.

ამაზე შეიძლება მხოლოდ იოცნებო. დღესდღეობით მათი გამკითხავი ჩვენს მეტი არავინაა. თუ ერთი პური გვაქვს, შუაზე გავუყოთ, თუ ორი კაბა გვაქვს, ერთი ჩავაცვათ. ეს ხალხი ჩვენ უნდა შევინახოთ და ვაცოცხლოთ.

ისინი სულაც არ ეკუთვნიან მათხოვრის კატეგორიას. მათ შეიძლება მთხოვნელები უწოდო. თუკი წინათ ნამდვილ მათხოვრად ფეხმოკვეთილი ან მკლავმოჭრილი, სახედასიებული რუსი ან სხვა ეროვნების კაცი შემოგვხვდებოდა, ახლა მათი ადგილი უფრო ღირსეულებმა დაიკავეს.

კიდევ კარგი, ცოცხლობს იმედი: ღმერთი დიდია. ღმერთი გადაგვარჩენს.

ამ იმედით აივსო ეკლესიის შესასვლელები, რეკავენ ცისკრის თუ მწუხრის ზარები.

ამასობაში იქნებ დამთავრდეს ომი, რომელიც დღეში რამდენიმე მილიონი ჯდება. იქნებ შეწყდეს შარაგზებზე ავტომატიანების თარეში, ოჯახების აკლება-აწიოკება, ადამიანთა გატაცება. იქნებ დაიწყოს მშვიდობიანი შრომა და დაგვიგროვდეს დოვლათი, ნდობით შემოგვხედოს შინაურმა თუ გარეულმა, იქნებ გვეშველოს!

ამ ოცნებით შევალე სათნოების სახლის კარი დავით აღმაშენებლის გამზირზე. სევდიანი დამიხვდა ასოციაცია „კათარზისის" ვიცე-პრეზიდენტი ნანა თამასხაროვა. სადილობა იწყებოდა. იგი ელოდა უმწეო ადამიანებს, რომლებიც აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი. აქ კვება ნორმალურია. ხორციანი კერძი ყოველთვისაა. ყოველდღიურად 400-მდე მარტოხელა სადილობს, მაგრამ ზედმეტ ულუფასაც ამზადებენ, იქნებ ვინმე დაუპატიჟებელმა შემოაღოს კარი.

ნანასთან საუბრისას შევიტყვე, რომ ადრე საპატრიარქოსთან სასადილო ყოფილა, სადაც ხელმოკლენი და უპატრონონი დადიოდნენ.

მარტო „კათარზისის" სასადილო ვერ გასწვდება თბილისს. ქალაქის მერიის დახმარებით მალე გაიხსნება ასეთივე ტიპის სასადილო თამარ მეფის გამზირზე.

იმ გაჭირვებული ადამიანებისათვის, რომლებიც გამორბიან სოფლებიდან და თბილისში მათხოვრობენ, სადარბაზოებში ათევენ ღამეს, კვლავ მერიის დახმარებით შეუდგნენ თავშესაფრის ორგანიზებას.

„კათარზისი" ვერ აუვა მშიერთა და უსახლკაროთა მოვლა-პატრონობას, თუ მას მხარი არ აუბეს სხვადასხვა ფირმებმა და ასოციაციებმა, რადგან, როგორც პრემიერ მინისტრმა თენგიზ სიგუამ ტელევიზიით საუბრისას განაცხადა, დღეს უკვე მოსახლეობის 85 პროცენტი შიმშილის ზღვართანაა, ზღვარიდან რეალობამდე კი ერთი ნაბიჯია...

**ლია კაკაბაძე**

საქართველოს პარლამენტის ... БИБЛИОТЕКА

# ია ნინიძე: მაინც ბედნიერი ვარ!

**ია ნინიძის სახელი ერთგვაროვან ასოციაციას იწვევდა წლების მანძილზე, ვინ თუ ბარემ იღბლიანს ეძახდნენ და შეუმჩნეველი რჩებოდათ, თუ რამხელა დარდს ფარავდა იას ლამაზი, მაგრამ სევდიანი თვალები...**





ოჯახში ერთადერთი შვილი და შვილიშვილი ვიყავი. ჩემზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. თუმცა გათამამებული და განებივრებული არასოდეს ვყოფილვარ. იღბლიანი ბავშვობაში ვიყავი, როცა ყველანი გვერდით მყავდნენ. ჯერ მარტო ბებია რად ღირდა თავისი სიდარბაისლით. პირველი სწორედ ის წავიდა ამ ქვეყნიდან. შემდეგ ბაბუა, დეიდა, დედა, დავრჩი მარტო მოუშუშებელ ტკივილთან. ოჯახის ტრაგედიას ჩემი, როგორც მსახიობის ერთგვარი მივიწყება დაემატა. შემდეგ პირადი უბედობა. ერთი სიტყვით, ყველა პირობა მქონდა თავის მოკვლისათვის, მაგრამ არ დავცემულვარ. ჩემს თავზე, ჩემს ტრაგედიაზე ავმაღლდი. დღეს ძალიან ძლიერი ვარ. ეს არის ჩემი ცხოვრების ქარტეხილების ერთადერთი შედეგი. ანა მანიანს სახეზე ეწერა ყველა სატკივარი. როცა ჰკითხეს, არ გაწუხებთ ამდენი ნაოჭი სახეზეო, უპასუხა: არა, თითოეული მათგანი მთელ ცხოვრებად მიღირსო. მეც ჩემი ყველა გულისტკენა თითო ცხოვრებად მიღირს. ზოგი ფიქრობს, რომ მსახიობი აუცილებლად ქარაფშუტა უნდა იყოს. ადამიანი ყველა ცოდვილია მეტნაკლებად. არ აეწყო ჩემი ცხოვრება. ძალიან მინდოდა მქონოდა ბედნიერი ოჯახი, მყოლოდა მეუღლე, შვილები, მაგრამ რას ვიზამ, როგორც ჩანს, არ ვარ ოჯახური ბედნიერების ღირსი. არ შეიძლება წარსულზე მოთქმით იცხოვროს ადამიანმა, სიცოცხლე გრძელდება და უნდა შეძლო გულიდან ამოიგლიჯო ბევრი რამ, მკიცხავენ, მჭორავენ. ზოგს შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს მითქმა-მოთქმას, მაგრამ მე გულთან მიმაქვს ყველაფერი. თუმცა არც ის შემიძლია, ვინმეს რაღაც ვუმტკიცო. ჩემი წარსული ჩემი პიროვნული ტრაგედიაა და ნურავინ გამკიცხავს. ძალას ის მმატებს, რომ მართალი ვარ ჩემი თავის და ღვთის წინაშე. ერთგული ვარ, შემიძლია ყველაფერი შევწირო საყვარელ ადამიანს, შეიძლება ლოგინად ჩავვარდე მასზე დარდით. მე ვცხოვრობდი და ვიცხოვრებ ჩემი სიმართლით, არავინ იცის, რას გააკეთებდა ჩემს ადგილას. შეიძლება უკეთ წარემართა თავისი ბედი, შეიძლება უარესად.

კინოში შემთხვევით არ მოვსულვარ, შვიდი წლიდან გადასაღებ მოედანზე ვიყავი, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვსწავლობდი. ვოცნებობდი გავმხდარიყავი მეორე ანა პავლოვა ან მაია პლისეცკაია, მაგრამ როცა არჩევანის წინაშე დავდექი, უყოყმანოდ კინო ვარჩიე. არც ვნანობ. უამრავი ბედნიერი წუთი მაჩუქა ამ არჩევანმა. სხვები რომ ოცნებობდნენ, ჩემთვის ის რეალობა იყო. გული მწყდებოდა, როცა რუსეთიდან უამრავი მიწვევა მქონდა როლებზე და ქართველი რეჟისორები კი რატომღაც დუმდნენ. მართალია, მეც ვთქვი რამდენიმე როლზე უარი, მაგრამ ეს ჭირვეულობა არ იყო. მირჩევნია ნაკლები როლი მქონდეს და საინტერესო, თუნდაც ერთი, მაგრამ განუმეორებელი. მიუზიკლში გადაღება შეგნებულად არ მინდოდა. რაც ერთხელ შევქმენი, იმის განმეორება აღარ მსურდა.

რაღაც სენივით გვაქვს ქართველებს — ყველაფერს კარგს ვმარხავთ, როცა, ვთქვათ, სხვები მიწიდან ამოჩიჩქნიან პატარა ქვას და ქვეყანას შეძრავენ ტრაბახით. შეიძლება ბევრს არ მოვწონვარ, ბევრს არ ვუყვარვარ, მაგრამ მე მყავს ჩემი მაყურებელი, რომელიც ყოველთვის მოვა ჩემს სანახავად, არ შემიძლია როლის მისაღებად ვიღაცის წინ გადავუდგე, თუნდაც ის ნაკლებ ნიჭიერი იყოს, ვზარალდები, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არც ვნანობ. დღეს ისე უჭირს საქართველოს, ხელოვნება კი არა, ღიმილიც გადამავიწყდა. ცხოვრება გართულდა, ხელფასი ხან არის, ხან — არა...

**— თქვენი საყვარელი როლი?**

— მარო „ვერის უბნის მელოდიებიდან“ და დეზიზა „ციური მერცხლებიდან“. მეც მათ ვგავდი. ხალისიანი, ბუნებრივი, ალალი, სუფთა გოგონა ვიყავი, ის სიალალე კიდევ შემომრჩა, თუმცა ისეთი ხალისი აღარა მაქვს...

**თქვენი პარტნიორები იყვნენ კინოსა და თეატრის ვარსკვლავები. ეს ერთდროულად სტიმულიცაა და ზედმეტი შემშფოთებელიც დამწყები მსახიობისათვის.**

— პირველი ნაბიჯები, დასაწყისი ყოველთვის ძნელია. მაგრამ ისეთ კარგ გარემოში, კარგ რეჟისორებთან და მსახიობებთან მიწევდა მუშაობა, არასოდეს გამჭირვებია.

ანდრეი მირონოვი გადასაღებ მოედანზე გავიცანი. რომ დამინახა, აბუზღუნდა, ამ პატარა გოგონასთან როგორ ვიმუშავოო. გამარჯობა არც გვითქვამს ერთმანეთისათვის, ისე დავიწყეთ გადაღება. საოცარი იმპროვიზატორი იყო, პირველივე გადაღებაზე ჩემი ტექსტით დაიწყო საუბარი. მეც არ დავიბენი. ეს ჩემთვის უდიდესი გამოცდა და გამარჯვება იყო.

შვიდი წლის ვიყავი, როცა გიორგი დანელიას ფილმებში („არ დაიდარდო“) სოფიკო ჭიაურელთან, ბუბა კიკაბიძესთან, გოგი ქავთარაძესთან ერთად მომიხდა თამაში.

სერგო ზაქარიაძესთან გადასაღებ მოედანზე არ მიმუშავია, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება მასთან შეხვედრა ფილმის განხილვაზე. ისე მოხდა, რომ ბატონმა სერგომ ვერაფ-







რით ჩასვა სიტყვა სიტყვაში. ანერვიულდა, სიგარეტს მოუკიდა, დრო რომ არ დაეკარგათ, მე დამიძახეს, სკამზე დამაყენეს და პირველივე სინჯზე ჩავწერე ჩემი ტექსტი. ბატონი სერგო მომიბრუნდა. ასეთმა პატარა გოგონამ როგორ მაჯობეო, მომეფერა, დამლოცა — მე ამდენი ხანია ვწვალობ და შენ ვინ ყოფილხარო.

**— იყო ქალი — ბედნიერებაა ეს თუ უბედურება?**

— რა თქმა უნდა, ბედნიერებაა, როცა ქალი ოჯახისათვის ცხოვრობს და იღვწის, მაგრამ, როგორც გითხარით, მას გვერდით უნდა ჰყავდეს საყვარელი, ერთგული მამაკაცი. ჩემთვის ბედნიერებაა, რომ გიორგი და ნინიკო მყავს.

**— როგორი დედა ხართ?**

— მე ასე მგონია, რომ კარგი დედა ვარ. წვალებ-წვალებით რაღაცას ვაკეთებ. არასოდეს ვღალატობ მათ და არც მათ უნდა მიღალატონ, თორემ ეს ჩემთვის სიკვდილის ტოლფასი იქნება.

**— ყველა ქალს აქვს „საიდუმლო", რომელიც სურს მთელ ქვეყანას გაანდოს..**

— მე ისე დაუფარავად, შეუნიღბავად მიცხოვრია, რომ საიდუმლო არ გამაჩნია.

**—მარტო დარჩენილს თუ გიტირიათ?**

— ბევრჯერ, მაგრამ ვცდილობდი, ჩემი ცრემლები არავის დაენახა. ჩემზე გაჭირვებულიც ბევრია და უბედურიც. მთავარია, ამაღლდე შენს გაჭირვებაზე და გაიცინო, თუნდაც მწარედ, თუნდაც გიჟივით.

**— ია, რომანტიული ბუნების ხართ. უდავოა: სიყვარულის გარეშე ვერ იცხოვრებთ..**

— მიყვარს ყველაფერი ლამაზი, სუფთა. ილუზიებით ვცხოვრობდი და რაღაც ისე რომ არ აღმოჩნდებოდა, როგორც წარმომედგინა, ეს ჩემთვის დიდი სულიერი ტრავმა იყო. ცოცხალი ლეში ვიქნებოდი, რომ არ მიყვარდეს შვილები, ახლობლები, მეგობრები.

მხოლოდ ამის გამო შემიძლია ვთქვა, რომ მე მაინც ბედნიერი ვარ!

**მარინე ნაკაიძე**

# კონსპექტი მშობლებს



# მივტყეპოთ თუ არა?..

„მოგაბეზრათ" პატარამ თავი? სულ არ გიჯერებთ? ყურად იღეთ ჩვენი რჩევები, იქნებ გამოგადგეთ:

1. ეცადეთ, რაც შეიძლება იშვიათად უთხრათ: „არ შეიძლება";

2. აუკრძალეთ მხოლოდ ისეთი რამ, რაც ხიფათიანია მისთვის და გარშემო მყოფთათვის;

3. ბავშვს შესთავაზეთ ის, რაც უნდა და მოსწონს (მაგალითად, თუ შეამჩნევთ, რომ მას ველოსიპედით უნდა გასეირნება, უთხარით: მიდი, დაჯექი ველოსიპედზე");

4. თუ გინდათ, რომ ბავშვმა გააკეთოს რამე, აუხსენით მას ამ საქმის მნიშვნელობა და მიზანი;

5. ძალდატანებით ნურაფერს გააკეთებინებთ;

6. თუ მაინც არ დაგიჯერებთ, მაშინ დასჯაც გამართლებულია, ოღონდ ნუ უყვირებთ და ნუ გალახავთ, აჯობებს, თუ არ შეუსრულებთ რაიმე სურვილს. გვერწმუნეთ, დასჯის ეს „ხერხი" საკმაოდ ეფექტურია.

ესეც თუ არ გაჭრის, მაშინ... ონავარს ნამდვილად არ ასცდება მიტყეპა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „გამა“ ჩვენს შვილებზე ზრუნავს

ბოლო წლების მოვლენებმა თავისი უარყოფითი კვალი დააჩნია მედიცინასაც. ჩვენი გაღატაკებული ეკონომიკა საიმედოს ვერაფერს ჰპირდება ადამიანებს, რომლებსაც აუცილებლად ესაჭიროებათ მკურნალობა. გამოცარიელებული აფთიაქები, უსახსროდ დარჩენილი საავადმყოფოები თითისოდენ ნუგეშსაც ვერ უტოვებენ პაციენტებს.

ყველასათვის ნათელი გახდა, რომ უფასო სამედიცინო მომსახურება მხოლოდ თავის მოტყუებაა. ფონენდოსკოპის ამარა დარჩენილ ექიმებს უკვე აღარ ძალუძთ აღასრულონ თავიანთი მოვალეობა. სად არის გამოსავალი? როგორი ხერხებით დავიცვათ ჯანმრთელობა? რა საშუალებებით ვუმკურნალოთ ავადმყოფებს? ეს კითხვები კარგა ხანია დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩემს თავზე. გამოსავალის ძებნამ ახალ ალტერნატივასთან სადაზღვევო მედიცინასთან მიგვიყვანა, რომელიც უთუოდ გვიხსნის. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ სპეციალისტები, რადგანაც იგი კარგად ნაცნობი მეთოდია ცივილიზებული ქვეყნებისათვის.

ნელა, მაგრამ ჩვენთანაც მკვიდრდება სამედიცინო მომსახურების ეს ფორმა. დედაქალაქში უკვე ფუნქციონირებს სადაზღვევო სამედიცინო კომპანია „ალდაგი“, რომლის კვალსაც არც ისე დიდი ხანია დაადგა მცირე სამედიცინო საწარმო „გამა“, იგი დიდმის მასივში, ლიუბლიანის ქ. №21-ში მდებარე ბავშვთა №8 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე დაფუძნდა და უკვე ჰყავს როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური წევრები.

— თქვენ საშუალება გაქვთ ისარგებლოთ სადაზღვევო პრინციპებზე აგებული სამედიცინო მომსახურების მრავალფეროვანი შესაძლებლობებით, — ვკითხულობთ „გამას“ პროსპექტის თავფურცელზე. ვფიქრობთ რედაქციის დაინტერესებას მცირე სამედიცინო საწარმოს საქმიანობით გაიზიარებს მკითხველი და გულდასმით წაიკითხავს ინტერვიუს „გამას“ დირექტორთან, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატთან გიორგი ვეკუასთან.



— ფირმა „გამა“, — თქვა მან, — მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოქმედ სამედიცინო დაზღვევის მაგალითზე შეიქმნა. ჩვენი საგარეო განყოფილების გამგე ირაკლი მეტრეველი ერთი წელიწადი იმყოფებოდა სტაჟირებაზე ამერიკაში, კალიფორნიის შტატში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ამ სტრუქტურის საქმიანობა და მოდელიც იქიდან გადმოვიღეთ. ახლა უფრო კონკრეტულად იმაზე, თუ როგორ ხდება სამედიცინო დაზღვევა. თავდაპირველად ის უნდა ვთქვათ, რომ „გამა“ შესაძლებლობას განიჭებთ მინიმალური ერთჯერადი წლიური სადაზღვევო გადასახადის შეტანით ერთი წლის მანძილზე შეუზღუდავად ისარგებლოთ ფირმის მაღალკვალიფიციური, სწრაფი და დროული სამედიცინო მომსახურებით. ჩვენი პაციენტები არიან 1 — 15 წლამდე ბავშვები. თითოეულ მომვლელს ექსპერტი განუსაზღვრავს დაზღვევის ჯგუფს. (ქრონიკული ავადმყოფისათვის გადასახადი თანხა შედარებით მეტია, რადგანაც მთელი წლის განმავლობაში უფასოდ ვაძლევთ საჭირო მედიკამენტებს. იგი დაახლოებით 10 ათას მანეთამდეა, კოლექტიური დაზღვევისათვის საწარმო-დაწესებულებები 55000 მანეთს გვირიცხავენ). ჩვენ უკვე გვყავს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური წევრები. მაგალითად „საქნავთობი“, „საქიმპექსი“, კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო სამსახური და სხვები.

საწარმოს დაფუძნება ბავშვთა მე-8 საავადმყოფოს ბაზაზე შემთხვევითი როდია. მართალია, სტაციონარი საკმაო მანძილით არის მოშორებული ქალაქს, მაგრამ სამაგიეროდ დიდი უპირატესობა აქვს. აქ ერთჭერქვეშ თანამედროვე მეთოდებით ოპტიმალურად ხდება კლინიკურ-ლაბორატორიული, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური, იმუნოლოგიური, ვირუსოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, ნერვული, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული, ძვალ-სახსართა სისტემების გამოკვლევები, აგრეთვე ქირურგიული, ორთოპედიული, ტრავმატოლოგიური, თვალის, ყბა-სახის, ყელ-ყურ-ცხვირის, კანის, სისხლის დაავადებათა კვალიფიციური დიაგნოსტიკა და მათი მკურნალობა. პაციენტებს ჩაუტარდებათ ყველა სახის რენტგენოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევა, ექოსკენირება, ელექტრო, ფონო, ექო და ინტერვალოკარდიოგრაფია, ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, კოლონოსკოპია, რექტორომანოსკოპია, ოფტალმოგრაფია, ლაპაროსკოპია, კაპილარსკოპია და სხვა.

„გამაში“ მოზარდის პირველი ვიზიტის შემდეგ, მასზე გაიხსნება ინდივიდუალური ბარათი, სადაც დაფიქსირდება მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული ყველა გამოკვლევა და კონსულტაცია, პარალელურად ეს მონაცემები შეტანილი იქნება კომპიუტერში.

ჩვენთან მუშაობს სადისპეტჩერო, რის საშუალებითაც დღე-ღამის ნებისმიერ დროს შეიძლება კვალიფიციური სატელეფონო კონსულტაციის მიღება, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, კონსულტანტის ბინაზე გამოძახება. „გამა“ დაზღვეულ პაციენტებს უფასოდ აძლევს დანიშნულ, მის აფთიაქში არსებულ მედიკამენტებს ან მათ შემცვლელებს. სტაციონალური მკურნალობის აუცილებლობისას, ვალდებულებას ვიღებთ მოვახდინოთ ბავშვთა დროული და დაუბრკოლებელი ჰოსპიტალიზაცია.

კონსულტანტების დანიშნულებისამებრ ქრონიკულ ავადმყოფთა რეაბილიტაცია მოხდება თბილისის ფასიან ბალნეოლოგიურ კურორტზე, რის ხარჯებსაც „გამა“ გაიღებს. თუ აუცილებელია, პაციენტი უფასოდ გაიგზავნება ჩვენი რესპუბლიკის ნებისმიერ აგარაკზე.

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ფირმა უფლებამოსილია სადაზღვევო თანხის საფასურად ორგანიზაციისაგან მიიღოს მათი პროდუქცია და შემოთავაზებული მომსახურება.

„გამას“ შეუძლია ორგანიზაციებში მოაწყოს გამსვლელი ერთჯერადი სამედიცინო შემოწმებები, გამოსაკვლევებს ადგილზე ჩაუტარდებათ ნებისმიერი სპეციალისტის კონსულტაცია.

ამის გარდა, ჩვენს პაციენტს შეუძლია ბინაზე გამოიძახოს მასაჟისტი. ფირმასთან ფუნქციონირებს არასტანდარტული მედიცინის კაბინეტი, მოზარდების ჯანმრთელობის დაცვისა და მკურნალობის პასუხსაგები მისია დაეკისრათ ცნობილ სპეციალისტებს, პროფესორებს—გივი ჟვანიას, ირაკლი ციციშვილს, რამაზ კუტუბიძეს, ალექსანდრე სიმონიშვილს, დოცენტებს—ნუგზარ უბერს, დავით შენგელიას და სხვებს.

ამერიკის ერთ-ერთ ფარმაცევტულ კომპანიასთან შევქმენით ერთობლივი საწარმო „გამა —დოქსი“ ოკეანის გაღმიდან ვიღებთ აუცილებელ წამლებს, ჯანდაცვის სამინისტროც ჩვენგან ყიდულობს მედიკამენტებს. ანგარიშსწორება ჯერჯერობით მანეთზეა, აპრილში ჩამოვიდნენ ამერიკელი კოლეგები, მათი ჩამოსვლის მიზანი იყო თბილისში ფარმაცევტული მრეწველობის დაფუძნება. გვპირდებიან, რომ რამდენიმე თვეში მივიღებთ თბილისში დამზადებულ წამლებს.

სადაზღვევო მედიცინა უაღრესად ხელსაყრელი ფორმაა, როგორც ყველაფერ ახალს, მის დამკვიდრებასაც სირთულეები ახლავს, მაგრამ საბოლოოდ სწორედ სამედიცინო მომსახურების ამ ფორმამ უნდა გამოგვიყვანოს ამ უაღრესად რთული სიტუაციიდან. ერთხელ კიდევ შეგახსენებთ მისამართს. თბილისი, დიღმის მასივი, ლიუბლიანას ქ. № 21, ბავშვთა მე-2 კლინიკური საავადმყოფოს ძირითადი კორპუსი, I სართული, ტელეფონები 51-95-97, 51-95-96.

დაიხსომეთ, „გამა“ თქვენი შვილების ჯანმრთელობაზე, მათ სრულფასოვან ჩამოყალიბებაზე ზრუნავს, იღვწის და რეალურ გზებს ეძებს გადაუწყვიტოს მშობლებს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა.

ესაუბრა **ჩარიტა მამისეიშვილი**

## ცნობისმოყვარეთათვის

### შეყვარებულები არ ცივდებიან

ცნობილია, რომ გაზიარებული სიყვარული ყველა უბედურების წამალია. ახლა ამ ჭეშმარიტებას მეცნიერული საფუძველი გაუჩნდა.

გერმანელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ შეყვარებულები იშვიათად მიმართავენ ექიმს გრიპის მწვავე ეპიდემიის დროსაც კი. ემოციური განწყობა ხელს უწყობს იმ ჰორმონის (კორტიზონის) გამოყოფას, რომელსაც ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს.

ფინელი ფსიქოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სექსუალური აქტიურობა იცავს ადამიანებს ეპოქისათვის დამახასიათებელი სტრესებისაგან. არ ვგულისხმობთ უწესო კავშირებს — ისინი პირიქით, სულიერ დისკომფორტს ქმნიან.

იტალიელი სპეციალისტების აზრით თითქმის ყოველ მეხუთე ევროპელს აწუხებს უძილობა. ამის მთავარი მიზეზი მარტოობაა. დაოჯახებულ ადამიანებს თუ ცოლ-ქმრული ცხოვრება მოწესრიგებული აქვთ, უძილობის პრობლემა თითქმის არ გააჩნიათ.

### აცალეთ ქალს სარკესთან

ინგლისელი ფსიქოლოგები დაუკვირდნენ ქალის განწყობას საპარიკმახეროში წასვლამდე და იქიდან დაბრუნების შემდეგ. ქალთა სალონიდან გამოსული ქალები მიმზიდველადაც გამოიყურებიან და თავსაც მშვიდად, დაჯერებულად და ხალისიანად გრძნობენ, ადვილად იტანენ უარყოფით ემოციებს.

ბრიტანელი სპეციალისტები თვლიან, რომ იგივე შედეგებს იძლევა საოჯახო პირობებში თავის დაბანა, ვარცხნილობის გაკეთება, რაც ცვლის ადამიანს.

ნუ დააჩქარებთ ქალს, თუ ის სარკესთან შეყოვნდება, რადგანაც უქმად კი არ ტრიალებს, არამედ თავის განწყობას იქმნის.

### ბუტიაობის დრო აღარაა

ათასწლოვანი ისტორია აქვს ოკინავაზე დამკვიდრებულ ტრადიციას: განქორწინების მსურველ ცოლ-ქმარი მიჰყავთ შორიახლოს მდებარე უკაცრიელ კუნძულზე და ტოვებენ თავიანთი ურთიერთობის საბოლოო გარკვევამდე. იქაური მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები აიძულებს მეუღლეებს დაივიწყონ დავა და ერთიანი ძალით მოიპოვონ საარსებო საშუალებები. შინ დაბრუნებისას კი მათ უკვე დავიწყებული აქვთ კინკლაობა და განქორწინებაზე სულაც არ ფიქრობენ.

იაპონელებმა მიაგნეს ოჯახური კეთილდღეობის შენარჩუნების ორიგინალურ ხერხს — შექმნეს ხელსაწყო, რომელიც ძალიან მგრძნობიარეა ოთახის ხმაურისადმი. იგი ჩართულია ჩვეულებრივ მაგნიტოფონში. როგორც კი ბინის პატრონები იწყებენ ხმამაღლა ლაპარაკს, ავტომატურად ირთვება მსუბუქი, დამაწყნარებელი მელოდია და ვნებების ქარიშხალიც უცბად ცხრება.

მოამზადა **თამარ ნინიძემ**

### ღიმილის ფასი

დღევანდელი დაძაბული პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაცია განსაკუთრებით მძაფრად დაეტყო ადამიანურ ურთიერთობებს. ყოველი ჩვენგანი დღეში რამდენჯერმე ვხვდებით უხეში და უხამსი მოპყრობის მოწმენი ტრანსპორტის, ვაჭრობის თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკთა მხრიდან, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამგვარ უპატივცემულო დამოკიდებულებას კარგა ხანია უკვე შევეგუეთ და მარტო დღევანდელობას ვერ დავაბრალებთ. ურიგო არ იქნება გავიხსენოთ დასავლური სიბრძნე: „თუნდაც დიდი უსიამოვნება შეგხვდეს, ნუ მოიშორებ ღიმილს; რაც უნდა მძიმე დრო დაგვიდგეს, ნუ მოვაკლებთ ღიმილს ერთმანეთს, ეს ცხოვრებას გაგვიიოლებს“.

სხვათა შორის, დასავლეთში, მომსახურების სფეროში დასაქმებულ გაუღიმარ ადამიანებს ძალიან ხშირად აუკრავენ ხოლმე ჯუდა-ნაბადს სამუშაოდან.

მოამზადა **თ. ხულაძემ**

ცნობისმოყვარეთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბიჭმა თავი მოიკლა



გაკვეთილების შემდეგ მეგობრები ზურასთან შეიკრიბნენ. საუბარში დრო შეუმჩნევლად გაილია. ჩამოღამდა. მცირე ყოყმანის შემდეგ დიასახლისი ბიჭებთან მივიდა და უთხრა:

— უკვე გვიანია, ახლა წადით სახლებში და ხვალ თუ გინდათ, მთელი დღე ჩვენთან იყავით.

— დედა, — ცრემლები მოადგა ზურას.

სტუმრები დაიშალნენ. ზურა აბაზანაში ჩაიკეტა. დიდხანს რომ არ გამოვიდა, კარი შეამტვრიეს. დედის კივილმა ქალაქს გადაუარა. ზურას თავი ჩამოეხრჩო...

უბედურება მოხდა და ბუნებრივია, მითქმა-მოთქმა გამოიწვია, პირადად მე შეკრებების შემდეგ დამეუფლა შიში იმისა, რომ მსგავსი უბედურებისაგან არავინ არის დაზღვეული. უმნიშვნელო შეცდომაც კი შეიძლება საბედისწერო გახდეს.

ბიჭმა თავი მოიკლა. ჩვენი აზრით სრულიად უმნიშვნელო მიზეზის გამო. მაგრამ იქნებ არც ისეა საქმე, შესაძლებელი იყო უბედურების თავიდან აცილება?

ამ საკითხზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მაკა ხარშილაძე.

სამწუხაროდ, მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მიზეზი სხვადასხვაგვარია. თუმცა ვფიქრობ, უმეტეს შემთხვევაში ადამიანი მაინც აფექტის მდგომარეობაში იკლავს თავს. ბიჭუნამ ჩათვალა, რომ მისი თავმოყვარეობა შელახეს, მისი ღირსება შეურაცხყვეს. ამის შედეგად მას მარტოობის გრძნობა და უიმედობა დაეუფლა. იფიქრა, რომ დედასაც არ ესმის მისი. უფრო მეტიც, სწორედ დედამ დაამცირა ამხანაგების წინაშე. მაშ ვინღა გაუგებს მას? სტუმრები წავიდნენ და ვინ იცის, რას ფიქრობენ მასზე, მის ოჯახზე. დედა თავის საქმეს მიუბრუნდა. მოზარდი დარწმუნდა, რომ ამქვეყნად არავის აინტერესებს მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა და მას არაფერი დარჩენია თავის მოკვლის მეტი. დედის სიტყვები მხოლოდ საბაბი იყო იმისათვის, რომ შვილს ეს საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა. იმ საშინელ წუთებში ბიჭუნა მარტო რომ არ ყოფილიყო, უბედურება არ მოხდებოდა. სწორად შენიშნა ერთმა ფრანგმა მხატვარმა, მდინარე სენა პარიზიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით რომ ყოფილიყო, ალბათ რამდენი ადამიანი გადაურჩებოდა დახრჩობას. გადარჩენილთა უმეტესობა ნანობს მომხდარს.

მივუბრუნდეთ ისევ კონკრეტულ ამბავს. უბედურების გამომწვევ მიზეზს თუ საბაბს ბიჭუნას ასაკის ფაქტორიც დაემატა. იგი თოთხმეტი წლის იყო. აღსანიშნავია, რომ თვითმკვლელობა ძალზე გახშირებულია გარდამავალ ასაკში (12-16 წლები), რასაც ფსიქოლოგები „მძიმე ასაკად" მიიჩნევენ.

ამ ასაკში მოზარდები განსაკუთრებით ჯიუტნი და აგრესიულნი ხდებიან, ეფლობიან სულიერ, შინაგან სამყაროში, აწვალებთ ფიქრი: ვინ ვარ? რას წარმოვადგენ? გამოჩენილი ფსიქოლოგი სტენლი ჰოლი ამ ასაკს „ქარიშხლის და შეტევის" პერიოდს უწოდებს. მოზარდს გადამეტებული მგრძნობელობა აქვს ყველაფრისა და ყველას მიმართ. „მომაქციეთ ყურადღება, — ითხოვს კატეგორიულად და ეჭვიანად — ეს მე ვარ, უნიკალური ინტერესების, ტკივილების, ღირსებების მქონე. მეც მაქვს ხმის უფლება, გამიწიეთ ანგარიში!" და ერთ მშვენიერ დღეს, სწორედ ასეთი რთული, სრულიად სხვა პიროვნება წარსდგება მშობლის წინაშე. თავისი თავხედობით, სიკერპით, უხეშობით. მშობელი საგონებელშია ჩავარდნილი, ყველანაირად ცდილობს შვილის „მორჯულებას", მაგრამ ამაოდ!

**— როგორ მოიქცეს მშობელი, როცა შვილთან ურთიერთობა მეტისმეტად რთულდება?**

— რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს მოზარდის ცხოვრებაში და თუ მაინც ჩაერევა, მხოლოდ შენიშვნით შემოიფარგლოს. თანაც ზომიერების გრძნობამ არ უნდა უღალატოს. ჩარევა არ არის საშიში, საშიშია ამ ჩარევის ფორმა. ერთმა მოზარდმა თავის მოკვლა სცადა იმის გამო, რომ დედამ მისი დღიურები წაიკითხა. მშობელს მიაჩნდა, რომ ის სწორად მოიქცა. უკეთესი იქნებოდა დედას ბოდიში მოეხადა, მოესმინა შვილისაგან დამსახურებული საყვედური, იქნებ ამის შემდეგ მათ ერთად ემსჯელათ, ესაუბრათ, თუნდაც ერთად „გამოეტირათ" შვილის განსაცდელი თუ დარდი.

**— ალბათ, დედას მეტი სიფხიზლე და ყურადღება მართებს, როდესაც ბავშვს ხასიათი ეცვლება, უგუნებოდ არის.**

— ყურადღებიან დედას არ გამოეპარება შვილის ხასიათში მომხდარი სულ მცირე ცვლილებაც კი. მშობელი ვალდებულია მიაგნოს მიზეზს, რაც ძალდაუტანებლად, ბუნებრივად უნდა მოხდეს.

„მეჩვენება, რომ შეწუხებული ხარ. ხომ არ გინდა რაიმე მითხრა?" — კითხეთ და მერწმუნეთ, ეს იკმარებს იმისათვის, რომ შვილმა გული გადაგიხსნათ და თავი მარტო არ იგრძნოს. მოზარდისათვის ამ ასაკში ყვე-

ლაფერი გაზვიადებულია და შეიძლება უმნიშვნელო ფაქტიც კი თვითმკვლელობის მიზეზად იქცეს. ამერიკაში კოლეჯის სტუდენტების თვითმკვლელობის დიდი პროცენტი გამოცდების პერიოდს ემთხვევა, რაც მოზარდების გაძლიერებულ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს (აქ იგულისხმება მშობლების, პედაგოგების რეაქცია, ან მომავლის გეგმების მსხვრევა).

**— ცოტა ძნელი წარმოსადგენია სწავლის გამო ჩვენმა მოსწავლემ თავი მოიკლას...**

— გამორიცხული არ არის, სწორედ ის გახდეს თავის მოკვლის საბაბი. ბევრი მშობლისგან გვსმენია: „ჩემი შვილი უმაღლესში რომ ვერ მოხვდეს, თავს მოვიკლავ".

ასეთი ფრაზებით შეიძლება მშობელმა გაუცნობიერებლად უბიძგოს შვილს თვითმკვლელობისკენ.

**— ხშირად სრულიად უბრალო მიზეზის გამო იკლავენ თავს...**

— ამ შემთხვევაში ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს საბაბი და მიზეზი. შეიძლება საბაბი უბრალოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით მიზეზს, აღმოჩნდება, რომ საქმე მეტად სერიოზულ ფაქტთან გვქონია.

თექვსმეტი წლის გოგონამ თავი მოიკლა იმის გამო, რომ დედინაცვალმა კედლიდან ჩამოხსნა გარდაცვლილი დედის სურათი. რა შეიძლება ითქვას? გოგონამ ასე თუ ისე, გადაიტანა დედის სიკვდილი, მაგრამ დედის სითბო და მზრუნველობა ვერავინ შეუცვალა. მამის მიერ მეორე ცოლის შერთვამ წყენა გამოიწვია, ხოლო დედის სურათის ჩამოხსნა ბოლო წვეთი იყო, რომელმაც გოგონას მოთმინების ფიალა აავსო. სულიერი ტრავმა იმდენად ძლიერი იყო (იგულისხმება სულიერი ტკივილი, მარტოობის განცდა, დამცირება), რომ მოზარდმა თავი მოიკლა.

მშობელს შესწევს უნარი, შეუმსუბუქოს შვილს გარდამავალ ასაკში მომხდარი ცვლილებები. მშობლებმა და შვილებმა ერთად უნდა გაიარონ ეს მძიმე პერიოდი. უნდა გავუფრთხილდეთ ბავშვის გაძლიერებულ თავმოყვარეობას და პატივი ვცეთ მის პიროვნებას. გვახსოვდეს, ეს მძიმე ასაკია! ნუ ვიქნებით ზედმეტად მომთხოვნი, კრიტიკულნი, უხეშნი. მშობლის გვერდით ბავშვს არ უნდა დაეუფლოს უიმედობის, მარტოობის და სასოწარკვეთილების გრძნობა.

კიდევ უფრო განსაკუთრებული მიდგომა გვმართებს ე. წ. მძიმე ბავშვებისადმი. ისინი უფროსებმა დაამახინჯეს, მოაკლეს სითბო, ყურადღება, სიყვარული, დათრგუნეს მათი პიროვნება. ამიტომაც ბავშვებს უჭირთ ადამიანებთან საერთო ენის გამოძებნა, განდობა.

მათ პატარაობიდანვე ჰკიცხავდნენ, სჯიდნენ, უხეშად ექცეოდნენ, იმის მაგივრად, რომ კარგი საქციელისათვის შეექოთ, წაეხალისებინათ.

არატიპური, უცნაური ბავშვები განსაკუთრებულ, ინდივიდ უ ა ლ უ რ მოვლა-პატრონობას საჭიროებენ.

წარმოიდგინეთ ბავშვის მდგომარეობა, რომელსაც დედა პირს საპნით ურეცხავდა, რათა ცუდი სიტყვები აღარ წარმოეთქვა. ბავშვი ამის შედეგად აგრესიული იყო უფროსების მიმართ და ეს ბუნებრივიცაა. ცუდი სიტყვები ხშირად ყურადღების მიპყრობის ხერხია. პატარებს ყურადღება უნდათ.

გვახსოვდეს, ბავშვი სიყვარულის და ზრუნვის გარეშე არ გაიზრდება, მაგრამ ნუ გვიღალატებს ზომიერების გრძნობა. გადამეტებული არც ყურადღება ვარგა და არც უყურადღებობა. ორივეს უარყოფითი შედეგისაკენ მივყავართ, რაც შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

ასე რომ, ვიყოთ გულისხმიერნი, მზრუნველნი, მოყვარულნი, მაგრამ ზომიერნი!

**მარინე ნაკაიძე**



# ჯადოსნური ფორმულები

**ხშირად** რაიმე მარცხის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილებს გვიფიქრია: რა უშნო, უგერგილო, უნიჭო ვარ. ხშირად ვერაფერს ვაკეთებ. იმასაც კი ვერ ვახერხებ, ყველაფერზე წერტვები არ ავიშალო და ნორმალური ურთიერთობა მქონდეს ადამიანებთან. განა ღირს სიცოცხლე?

გვერწმუნეთ, რომ ღირს. კიდევ ერთხელ გადასინჯეთ თქვენი შესაძლებლობები, შეიცანით თქვენი თავი და ბევრ ახალს აღმოაჩენთ. ჩვენც დაგეხმარებით, თქვენ მხოლოდ კარგად დაიმახსოვრეთ წარმატების საწინდარი ხუთი ფორმულა:

1. ხშირად გაიმეორეთ: მე მინდა ვიყო ბედნიერი, მშვიდი, მინდა ვუყვარდე სხვებს და მივაღწევ კიდეც ამას.

2. თქვენი ბრალი არ არის, თუ არ ენდობით ადამიანებს, ვერ ახერხებთ მათთან კარგი, უშუალო ურთიერთობების დამყარებას. უნდობლობის მიზეზი თქვენს ბავშვობაში უნდა ვეძიოთ. ეხეიგი, თქვენმა მშობლებმა, აღმზრდელებმა ვერ მოახერხეს თქვენში ჩაენერგათ ნდობის მარცვალი, რომელიც წლების მანძილზე გაღვივდებოდა და ჩამოყალიბდებოდა.

ამიტომ დაარწმუნეთ თქვენი თავი: მე არაფერში ვარ დამნაშავე!

3. დაიჯერეთ, რომ თქვენ ხართ ერთადერთი, შესანიშნავი, განუმეორებელი. თქვენი მსგავსი მეორე არ დადის ამ ქვეყნად. არიან ადამიანები, რომლებსაც ახარებთ თქვენი არსებობა. მაშასადამე, ესეც მეხამე ფორმულა: მე — ქეთევანი — ვარ კარგი ადამიანი, ვარ ერთადერთი, განუმეორებელი, ბედნიერება, რომ ვარსებობ.

4. ყოველი ადამიანი უნიკალურია. ნუ დაღონდებით, თუ ვინმე თქვენზე ლამაზია, ნიჭიერია, უბედურება არც ის არის, რომ კარგი ურთიერთობა არ გაქვთ მეუღლესთან ან სამსახურში გაქვთ კონფლიქტი. რა ვუყოთ მერე? თქვენ ცხოვრობთ ისე, როგორც შეგიძლიათ, თქვენებურად შეეცადეთ თავი დააღწიოთ ჩიხიდან, სადაც ცხოვრებამ მიგამწყვდიათ.

5. როცა კარგად დაიმახსოვრებთ ოთხივე ფორმულას: რომ თქვენ არა ხართ დამნაშავე, რომ გინდათ იყოთ ბედნიერი, მშვიდი, რომ თქვენ ხართ ერთადერთი, განუმეორებელი, კარგი. ადამიანი და გიხარიათ, რომ არსებობთ ამ ქვეყნად, მაშინ დაიმახსოვრეთ ხუთივე ფორმულა: ის, რაც თქვით — სიმართლეა!

გაიმეორეთ ეს ფორმულები ყოველ დილით გაღვიძებისთანავე, როცა ნახევრად გძინავთ და დაძინების წინ, როცა გრძნობთ, რომ თვალები გეხუჭებათ. ამ დროს ტვინი (როცა ძილიდან სიფხიზლეში გადადის და პირიქით) მზად არის მიიღოს ნებისმიერი ბრძანება თუ დავალება.

ეს ფორმულები დაგეხმარებათ გახდეთ ძლიერი, ლამაზი, თვითდაჯერებული, იღბლიანი. თქვენ ხომ სწორედ ასეთი ხართ სინამდვილეში. მთავარია ირწმუნოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასარგებლო რჩევები

## ბამბის და შალეულის ქსოვილებზე

ბამბის საკმაოდ ნახმარი თეთრეულის გარეცხვა თუ გსურთ, ერთი დღე-ღამე ჩაალბეთ შემდეგ ხსნარში: 2-3 სუფრის კოვზი სარეცხი ფხვნილი და ამდენივე სკიპიდარი 10 ლ წყალზე. არსებობს სხვა საშუალებაც: სარეცხი ჩაალბეთ თბილ (30-40) ძმრის ხსნარში (1 ჩაის კოვზი 1 ლ წყალზე).

ცხვირსახოცები ადვილად გაირეცხება, თუ მათ 2 საათით ჩაალბობთ ცივ მარილიან წყალში (1 ჩაის კოვზი 1 ლ წყალზე).

თეთრი წინდები, გოლფები მშვენივრად ირეცხება, თუ 1—2 საათით წინასწარ ჩაალბობთ წყალში, სადაც ჩამატებულია ბორის მჟავა (1-2 სუფრის კოვზი 10 ლ წყალზე).

უხეში ბამბის წინდები დარბილდება, თუ გარეცხვის წინ 1 საათით ჩაალბობთ ნიშადურის სპირტგარეულ წყალში (1 სუფრის კოვზი 1 ლ წყალზე).

ჩამუქებული ტულის ფარდები კარგად გაირეცხება, თუ გარეცხვის წინ ჩაალბობთ თბილ მარილიან წყალში.

ბამბის მაქმანები (კრუჟევო) გარეცხვის წინ 1-1,5 საათით ჩაალბეთ ცივ მარილიან წყალში და მხოლოდ ამის შემდეგ გარეცხეთ.

ფერადი სამოსი არ გახუნდება, თუ რამდენიმე წუთით ჩაალბობთ მარილიან წყალში.

თეთრი შალის ნაკეთობა კარგად გათეთრდება, თუ გარეცხვის წინ 2 საათით ჩაალბობთ ხსნარში, რომელიც შეიცავს 2 კოვზ სარეცხის ფხვნილს 10 ლ წყალზე.

თუ შალის ქსოვილზე სადებავი არამდგრადია, წინასწარ უნდა ჩაალბოთ სარეცხი საშუალების ხსნარში (წინა რეცეპტის მიხედვით), დაუმატებთ რა მას 1 ჩაის კოვზ ნიშადურის სპირტს (10 ლ წყალზე) ჩალბობის შემდეგ სწრაფად გარეცხეთ (30 ტემპერატურის წყალში).

გაუხეშებული ხაოიანი პირსახოცი ჩაალბეთ წყალში, ჩაუმატეთ „ანტისტატიკი“, „ანტისტატიკი-2“, ან „აქსის“-ი.

თუ ტანსაცმელი „მოეშვა“, გარეცხვის წინ ერთი საათით ჩაალბეთ ხსნარში, რომელიც შეიცავს 3 სუფრის კოვზ ნიშადურის სპირტს, 1 სუფრის კოვზ სკიპიდარს და 1 სუფრის კოვზ ოდეკოლონს 10 ლ წყალზე.

ფერადი ქსოვილი არ გახუნდება, თუ მათ გარეცხავთ ცივ მარილიან წყალში.

თუ ფერად სამოსს მანქანით რეცხავთ, წყალში ჩაუმატეთ 2-3 სუფრის კოვზი მარილი — ნაკეთობა არ გახუნდება, ფერი უფრო გაცოცხლდება.

ხაოიანი პირსახოცები და ხალათები რომ რბილი და ფაფუკი გახდეს, გარეცხეთ და მოხარშეთ მარილიან წყალში; ან ჩვეულებრივი რეცხვის შემდეგ ცოტა ხნით დააყოვნეთ მარილიან წყალში, არ გააუთოოთ.

თეთრი ბამბის ან სელის ნაჭრებზე უთოსაგან ნარჩენი ჩაყვითლებული ადგილები ჩაალბეთ ცივ წყალში, შემდეგ კი გაწმინდეთ ქლორიანი კირის ხსნარით (1 ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე), თუ დამწვარი ადგილები სუსტია, ჩაალბეთ ხსნარში, რომელიც შეიცავს 2 ჩაის კოვზ ბორაკს (ბურა) 1 ლ წყალზე. შემდეგ გაავლეთ და გააშრეთ.

ფერადი ფლანელის (ბამბაზიის) ბოლო გავლებისას წყალში ჩაუმატეთ 1 სუფრის კოვზი ძმარი, ბოლო თეთრი ფერის ფლანელის გავლების დროს 1 ჩაის კოვზი ბორაკი („ბურა“) 1 ლ წყალზე.

ბამბისა და სელის ბოჭკოები წყალში ძალიან „ფუვდებიან“, განსაკუთრებით ცხელში, ამასთან ნაჭერი კლებულობს, განსაკუთრებით პირველი რეცხვის შემდეგ. ამიტომ ნაჭერი წინასწარ უნდა გაივლოს ან გაირეცხოს ცხელ წყალში და გაშრეს გაჭიმვის გარეშე.

შავი ან ლურჯი ბატისტის ან მარკიზეთის ნაკეთობანი კარგად გაავლეთ ლუდში ან ცივ წყალში, რომელშიც შაქარია გახსნილი (2 ნატეხი 1 ლიტრ წყალზე).

სატინა ბზინვარებას არ დაკარგავს, თუ მას გაავლებთ ბორაკიან წყალში. სატინის, ჩითისა და მუქი ფერის აბრეშუმის ნაჭრის ტანსაცმელს ამავე მიზნითავლებენ თბილ მარილიან წყალში (3-4 ჩაის კოვზი მარილი 2 ლიტრ წყალზე).

თუ გსურთ ბამბის ქსოვილის მაქმანის („კრუჟევო“) სწორად გაუთოება, იგი ქინძისთავებით დაამაგრეთ საუთოვებელი მაგიდის ნაჭერზე და თანდათან, დაუთოებისას მოაცილეთ ქინძისთავები. უკეთესია თუ მაქმანს წინასწარ მიაკერებთ ბამბის ქსოვილის ნაჭერს; მისი გარეცხვა და გაუთოება ძალზე გაგიადვილდებათ და საყელო ფორმას არ დაკარგავს.

ბამბის ან სელის ქსოვილზე ამონაქარგის გაუთოება ხდება მეორე მხრიდან რბილ საუთაოზე მძიმე უთოთი, რათა ამონაქარგი უფრო ამოწეული (რელიეფური) გახდეს.

შეკრიბეს
მარლენ აბაზაშვილმა და მზია გოგიშვილმა.

## № 4-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. „პერიკოლა“. 6. ბურატინო. 8. მეტეორიტი. 11. ბიურო. 14. შორაო. 15. ლეონიძე. 16. ნოგაიო. 17. გვარლი. 21. სინათლე. 22. ანაპა. 23. გნომა. 26. კოვერკოტი. 27. ექსკურსი. 28. შანხოინი.

შვეულად: 1. გენოციდი. 2. კორეა. 3. შრატი. 4. ანდამატი. 7. შოპენი. 9. პროტოტიპი. 10. მოდილიანი. 12. ვენეცია. 13. მძევალი. 18. „ჭინჭრაქა“. 19. ფაკირი. 20. სიმფონია. 24. მონრო. 25. ატენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყის ფანჯარაში

ზურაბ დათუაშვილის ფოტოეტიუდი



რედაქციის მისამართი: 380008, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები: რედაქტორის 99-98-71; პ. მგ. მდივნის 99-71-88; ცნობებისათვის 93-95-79

მასალები გადაეცა ასაწყობად 25. 05. 93. წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 06.93 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. ტირაჟი 26.000 შეკვ. 449.

F558
1993

ინდექსი 76178



ფასი 40 კუპონი